

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ევროპეისტიკის დეპარტამენტი

ხელნაწერის უფლებით

ოზნურ უსტა თუზჯუ

**თანამედროვე ტენდენციები ანდაზების განვითარებაში – ინტერტექსტუალური
ხუმრობები**

(ანგლო-ამერიკული და თურქული ანტი – ანდაზების შეპირისპირების საფუძველზე)

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის

ა ნ ო ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი თეა შავლაძე

ბათუმი

2021

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სამყაროში ყველაფერი ვითარდება და იცვლება. ხელოვნებას, მის ნებისმიერ დარგს აღორძინება და განახლება სჭირდება. მუსიკოსები ხშირად ძველ მელოდიებს ახლებურ არანჟირებას უკეთებენ რათა ამ სახით გახადონ ისინი ახალ თაობაში პოპულარული. მწერლებიც ძველ თემებს, ცნობილი ნაწარმოებების ყველასთვის ნაცნობ გმირებს ხელახლა აცოცხლებენ თავიანთ ნაწარმოებებში და ტრანსფორმირებული სახით წარმოგვიდგენენ. ძველი ფოლკლორული ცეკვების თანამედროვე ვერსიები იქმნება რათა თანამედროვე ახალგაზრდობამ შეიყვაროს და შეითვისოს ისინი. თვით, ტრადიციული სამზარეულოც კი განახლებას საჭიროებს, რადგანაც ყოველივე ძველს, საუკუნეების მანძილზე არსებულს, ახალი ელემენტების დამატება სჭირდება მუდამ.

ენაც ვითარდება და იცვლება. თანამედროვე ადამიანთა მეტყველებაში ხშირად გაიგონებთ ნეოლოგიზმებსა და ოკაზიონალიზმებს. ენაში ჩნდება არა მხოლოდ ახალი სიტყვები, არამედ ახალი ანდაზები, ძველი ანდაზების ტრანსფორმირებული ფორმები: ანტი-ანდაზები, ფსევდო ანდაზები, ა.შ. ცნობილ პარემიოლოგს, „პარემიოლოგიის მამად“ წოდებულ ვ. მიდერს უთქვამს: „ანდაზები არასოდეს კვდებიან, ისინი ტრანსფორმირდებიან“. ამგვარად, თანამედროვე პარემიოლოგიის მიზანია შეისწავლოს არა მარტო ახლად შექმნილი ანდაზები, არამედ ძველი, ტრადიციული ანდაზების სახეშეცვლილი ვარიანტები. ჩვენს ეპოქაში პარემიოლოგები იკვლევენ ერთი მხრივ ძველ, ტრადიციულ ანდაზებს, მეორე მხრივ ახალ ანდაზებსა და სხვადასხვა სახის ანდაზურ ტრანსფორმაციებს, მოდიფიცირებულ ანდაზებს. პარემიოლოგების მიერ იქმნება ახალი და მოდიფიცირებული ანდაზების ლექსიკონები. სწორედ ამ სახით ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას თანამედროვე პარემიები.

უკანასკნელი ოცდახუთი წლის განმავლობაში არა ერთი პარემიოლოგიური კვლევა მიემდგნა მოდიფიცირებულ ანდაზებს. კვლევები განხორციელდა სხვადასხვა

ენის პარემიული ფონდის საფუძველზე, მაგრამ შედარება-შეპირისპირებაზე დაფუძნებული კვლევები ამ კუთხით თითზე ჩამოსათვლელია.

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ანგლო-ამერიკული და თურქული ანტი-ანდაზების იუმორისტული და პაროდული ბუნების კვლევას. მიუხედავად იმისა, რომ თურქული ანდაზური ფონდი მდიდარია ანტი-ანდაზებით და არაერთი პარემიოლოგიური კვლევა განხორციელებულა თურქი მკვლევრების მიერ, კვლევები ანტი-ანდაზებზე და მსგავსი სახის ანდაზურ ინოვაციებზე რაოდენობრივად მცირეა (ბულრა, 2005; ბეკროლლუ, 2014; ოზეზენი, 2016; სეჩკინ, 2017; ონანი, 2011). მეტიც, არსებული კვლევები თურქულ ენაზეა შესრულებული, რაც ხელს უშლის თურქული ანტი-ანდაზების მსოფლიო პარემიოლოგიებისთვის გაცნობას.

ტრანსფორმირებულ, მოდიფიცირებულ ანდაზებს მთელ მსოფლიოში შეისწავლიან. მკვლევრები, რომლებიც თანამედროვე პარემიების კვლევით არიან დაინტერესებულნი გახლავთ: ვ. მიდერი (ამერიკა), ა. ლიტოვკინა (უნგრეთი), მოჰამადი (ირანი), დ. ზაიკაუსკიენე (ლიტვა), მიდული (მოროკო), რეზნიკოვი (რუსეთი), ო. უსტა თუზჯუ (თურქეთი), თ. შავლამე, თ. ნაკაშიძე-მახარაძე (საქართველო) და სხვანი.

ნაშრომი მიზნად ისახავს: 1) ანდაზური ტრანსფორმაციების შესახებ სხვადასხვა მკვლევრის აზრის გაცნობას; 2) ანგლო-ამერიკული და თურქული ანტი-ანდაზების სემანტიკური, სტრუქტურული და კულტურული თავისებურებების შესწავლას; 3) ანტი-ანდაზების სატირულ-იუმორისტული და პაროდული ბუნების შესწავლას და ინტერტექსტუალობის ძიებას;

ნაშრომის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ეს გახლავთ პირველი სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც ანგლო-ამერიკული და თურქული ანტი-ანდაზების შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზია წარმოდგენილი სხვადასხვა დონეზე, კერძოდ, სემანტიკურ, სტრუქტურულ, ინტერტექსტუალურ და ლინგვოკულტურულ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ პარემიოლოგია, როგორც ლინგვისტიკის დარგი თურქეთში მეტად პოპულარულია და არაერთი თურქი მკვლევარი მუშაობს ანდაზურ ფონდზე,

ანტი-ანდაზების შეპირისპირებითი კვლევა ორ, არამონათესავე ენაში (ინგლისური – თურქული) ჯერ არ განხორციელებულა.

კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია: დაკვირვების, აღწერილობითი, შედარებით-შეპირისპირებითი, სემანტიკური, სტილისტური, სტრუქტურული და ლინგვოკულტურული ანალიზის მეთოდები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. ნაშრომის თეორიული ღირებულება გახლავთ ის, რომ იგი შეიცავს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებულ საინტერესო დაკვირვებებსა და დასკვნებს. **ჩატარებული კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას** პარემიოლოგიის, ლექსიკოლოგიის, სემანტიკის, ენის და კულტურის/ლინგვოკულტუროლოგიის, შეპირისპირებითი ლინგვისტიკის ლექცია-სემინარებზე. ნაშრომი ასევე დახმარებას გაუწევს პარემიოლოგიითა და პარემიოგრაფიით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს. ნაშრომს კიდევ ერთი პრაქტიკული ღირებულება აქვს. თურქულში დღემდე არ არსებობდა ანტი-ანდაზების კორპუსი, ამდენად ჩვენ მიერ სხვადასხვა წყაროში აღმოჩენილი და შეკრებილი ანტი-ანდაზები წარმოადგენს თურქული ანტი-ანდაზების ერთგვარ კორპუსს, რომელიც თურქულ ანტი-ანდაზებს სხვა ეროვნების პარემიოლოგებისთვის ხელმისაწვდომს გახდის.

ნაშრომის თეორიულ ბაზას წარმოადგენს: ვ. მიდერის, ა. ლიტოვკინას, ნ. ნორიკის, რეზნიკოვის, დ. ზაიკაუსკიენეს და სხვათა თეორიული ნაშრომები, სახელმძღვანელოები თუ სამეცნიერო სტატიები.

ნაშრომის ემპირიულ მასალად გამოყენებულია ანგლო-ამერიკული და თურქული ანტი-ანდაზები. სადოქტორო დისერტაციაში წარმოდგენილი ანგლო-ამერიკული ანტი-ანდაზები აღებულია ვ. მიდერისა და ა. ლიტოვკინას წიგნიდან: „ძველი ანდაზები არასოდეს კვდებიან, ისინი ტრანსფორმირდებიან“ (2006). რაც შეეხება თურქულ ანტი-ანდაზებს, მათი შეგროვება ჩვენ მიერ ხდებოდა ოთხი წლის განმავლობაში სხვადასხვა წყაროდან, კერძოდ: ონლაინ სოციალური

ლექსიკონებიდან, წიგნებიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან, სატელევიზიო პროგრამებიდან, სოციალური საიტებიდან, სიმღერებიდან, რეკლამებიდან და ა.შ.

ნაშრომის სტრუქტურა შეესაბამება მის მიზნებსა და ამოცანებს. ნაშრომი შედგება: შესავლის, ოთხი თავის, თორმეტი ქვეთავის, ზოგადი დასკვნის, რეკომენდაციების, გამოყენებული ლიტერატურის სიისა და დანართისაგან.

შესავალში დასაბუთებულია სადისერტაციო ნაშრომის თემის არჩევანის მართებულობა, განსაზღვრულია ნაშრომის მიზნები და ამოცანები, ხაზგასმულია ნაშრომის სიახლე და აქტუალობა, ნაშრომის მეთოდოლოგიური ასპექტი, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

ნაშრომის პირველი თავი „ანდაზა და ანდაზათა მოდიფიცირება“ ეძღვნება ზოგადად ანდაზის რაობას და მოდიფიცირებული ანდაზების სახეებს (ანტი-ანდაზა, ფსევდო ანდაზა, დამახინჯებული ანდაზა, ა.შ.). მასში საუბარია ტერმინზე „ანტი-ანდაზა“, ანტი-ანდაზებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებზე, ანდაზების მოდიფიცირების მექანიზმზე და იმ თემატიკაზე, რომელიც ანგლო-ამერიკულ და თურქულ ანტი-ანდაზებში სჭარბობს (პოლიტიკა, ფული, ქორწინება, სექსუალური ცხოვრება).

ნაშრომის მეორე თავში „ანტი-ანდაზა როგორც ინტერტექსტუალური ხუმრობის სახე და მისი იუმორისტული ბუნება“ საუბარია სამ ძირითად საკითხზე, კერძოდ: 1) ინტერტექსტუალობა შესწავლილია სხვადასხვა გადმოსახედიდან; 2) საუბარია თუ როგორ იჩენს თავს ინტერტექსტუალობა ანტი-ანდაზების სტრუქტურასა და სემანტიკაში; 3) როგორია ანტი-ანდაზების იუმორისტული ბუნება.

ნაშრომის მესამე თავში „ანდაზური და ანტი-ანდაზური სამყაროს სურათი“ ანტი-ანდაზები შესწავლილია კულტურული თვალსაზრისით. აღნიშნულ თავში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რატომ ხდება ანდაზების სემანტიკური თუ სტრუქტურული ტრანსფორმირება, რა იწვევს ანდაზათა ტრანსფორმაციას (საზოგადოებრივი მოვლენები, ღირებულებათა ცვლა, სიახლის სურვილი თუ სხვა). აღნიშნულია, რომ ანტი-ანდაზა მხოლოდ გართობის მიზნით არ

იქმნება, რომ მასში აისახება თანამედროვე ადამიანის სამყაროს ხედვა და უნარი, გააკრიტიკოს საზოგადოების მანკიერი მხარეები.

ნაშრომის მეოთხე ნაწილში „ანგლო-ამერიკული და თურქული ანტი-ანდაზების ლინგვისტური თავისებურებები“ ანგლო-ამერიკული და თურქული ანტი-ანდაზები შესწავლილია სტილისტური და სინტაქსური თვალსაზრისით.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია კვლევის შედეგად მიღებული თეორიული განზოგადებები.

თავი I. ანდაზა და ანდაზათა მოდიფიცირება

თანამედროვე პარემიოლოგია ანდაზათა სამ ძირითად სახეს შეისწავლის: ტრადიციული ანდაზები, თანამედროვე ანდაზები და ტრანსფორმირებული / მოდიფიცირებული ანდაზები. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ სახის ანდაზების აღსანიშნად მეცნიერები სხვადასხვა ტერმინს გამოიყენებენ: „სილიკონური/სილიკონის“ ანდაზები, ფსევდო/კვაზი ანდაზები, დამახინჯებული ანდაზები, ანომალიური ანდაზები, ანტი-ანდაზები, ველერიზმები, ინტერტექსტუალური ხუმრობები.

1982 წელს ვ. მიდერმა მოახდინა მოდიფიცირებული ანდაზების კლასიფიკაცია და მასში სამი სახის ანდაზა გამოავლინა: ანტი-ანდაზა (**anti-proverb**), ფსევდო /კვაზი ანდაზა (**pseudo - proverb/quasi -proverb**) და დამახინჯებული ანდაზა (**twisted proverb**).

ჟ. მანძიუკის თანახმად, *ანტი-ანდაზები* შინაარსობრივი თვალსაზრისით წინააღმდეგობაში მოდიან ტრადიციულ ანდაზებთან (Mandziuk, 2016:23), ასე მაგალითად „Money talks, but it doesn't always talk sense“ („ფული ლაპარაკობს, მაგრამ ყოველთვის ჭკვიანურს როდი“ (მომდინარეობს ტრადიციული ანდაზიდან “Money talks” – „ფული ლაპარაკობს“). ტერმინები „*ფსევდო-ანდაზა და „კვაზი ანდაზა“* შესაძლებელია ერთმანეთის სინონიმად იქნას გამოყენებული. ორივე მათგანი მიუთითებს, რომ ანდაზა მცდარია, თუმცა ერთი შეხედვით სიმართლედ გვეჩვენება. ამ სახის ანდაზები წარმოადგენს ანდაზათა წარუმატებელ მოდიფიკაციას და ვერ აკმაყოფილებს ანდაზებისთვის წაყენებულ მოთხოვნილებებს (Mandziuk, 2016:23).

ფსევდო - ანდაზის მაგალითია: Early to bed and early to rise and it probably means your TV set is being repaired. ეს ანდაზა თანამედროვე ადამიანის გადმოსახედიდან ჭეშმარიტებას წარმოადგენს, რადგანაც თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში ტელევიზორი უდიდეს როლს ასრულებს და თუკი ადამიანი დასაძინებლად ადრე მიდის, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ტელევიზორი გაფუჭებულია. მაგრამ ზემოთ დასახელებული ანდაზა ფსევდო-ანდაზაა, რადგანაც არც მოკლეა და არც ადვილად დასამახსოვრებელი.

დამახინჯებული ანდაზები მრავალრიცხოვნებით და პროდუქტიულობით გამოირჩევა. დამახინჯებული ანდაზები იმით განსხვავდება ფსევდო-ანდაზებისგან, რომ ისინი განიცდიან სხვადასხვა სახის: ლექსიკურ, კონცეპტუალურ თუ ფონოლოგიურ მოდიფიკაციას. სამაგალითოდ გამოგვადგება: **He who laughs last, thinks slowest.** ტრადიციულ ანდაზაში გვაქვს: He who laughs last, laughs best. მოხდა ტრადიციული ანდაზის მეორე ნაწილის დამახინჯება, ტრანსფორმირება.

სილიკონური ანდაზები ახალი ანდაზებია, რომელშიც კომპიუტერული და დიგიტალური სფეროსთვის დამახასიათებელ ტერმინებს ვხვდებით. ტერმინი „ველერიზმი“ ინგლისურში მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში გამოჩნდა და უკავშირდება ჩ. დიკენსის რომანის „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“ გმირს სემ ველერს, რომელსაც ეჭვი შეჰქონდა კლიშედ ქცეულ გამოთქმებსა და ანდაზებში და სხვადასხვა სიტუაციაში მათ ტრანსფორმირებას ახდენდა.

1.1. ტერმინის „ანტი-ანდაზა“ შესახებ. ანტი-ანდაზების თავისებურებები.

ტრადიციული ანდაზების გაშარჟება და მათი შეგნებული „რიმეიქინგი“ არ ახალია. ეს ლინგვისტური ფენომენი დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ტერმინი „Antispruchwort“ (ანტი-ანდაზა) მხოლოდ 1982 წელს გამოჩნდა სამეცნიერო ლიტერატურაში. ტერმინის შექმნა ვერმონტის უნივერსიტეტის პროფესორის, პარემიოლოგ ვ. მიდერის სახელთანაა დაკავშირებული. თუმცა მეორე მკვლევართან ნ.

ნორიკთან იგი სრულიად სხვა სახელით გვხვდება. მკვლევარ ნ. ნორიკს თუ დავესესხებით, ანტი-ანდაზებს „ინტერტექსტუალური ხუმრობები“ (intertextual jokes) შეიძლება ვუწოდოთ.

ვ. მიდერის ტერმინი „ანტი-ანდაზა“ უმაღლეს აიტაცეს პარემიოლოგებმა და დღეს ამ ტერმინს თითქმის ყველა ენის სამეცნიერო ლიტერატურაში შეხვდებით: anti-proverb (ინგლისური), anti(-)proverbe (ფრანგული), антипословица (რუსული), anti(-)proverbium (უნგრული), anti-atasözü (თურქული), ანტი – ანდაზა (ქართული).

მიუხედავად უარყოფითი მნიშვნელობის მატარებელი პრეფიქსისა „ანტი“, ანტი-ანდაზა არ წარმოადგენს ანდაზის საპირისპირო ფენომენს. ანტი-ანდაზა გათანამედროვეებული ანდაზაა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ძველ ანდაზებში დაფიქსირებულ ტრადიციულ სიბრძნეს. ზოგიერთი ანტი-ანდაზა ახალ ანდაზად გადაიქცა რადგან მასში არსებული სიბრძნე სრულ შესაბამისობაში მოვიდა თანამედროვე ეპოქასთან (Litovkina & Mieder, 2006: 5).

თანამედროვე ადამიანებს უჩნდებათ რეაქცია პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ საკითხებზე. შესაბამისად, ამგვარი რეაქცია ასახვას პოულობს ხელოვნებაში, კინომატოგრაფიაში, მუსიკაში, ლიტერატურაში. ლიტერატურა ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რომლის საშუალებითაც ადამიანებს შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი ფიქრები თუ ემოციები. ანდაზებსაც შესწავთ უნარი გამოხატონ ადამიანთა ემოციები. ანდაზებს ახასიათებთ სპეციფიკური სტრუქტურა და პოეტური ფორმა, რომელიც განასხვავებს მათ არა ანდაზური თქმებისგან. როგორც კოინინგი (2015) ამბობს: „რაც უფრო მეტი სტილისტური მახასიათებელი აქვს წინადადებას, მით უფრო მეტი შანსი აქვს მას ანდაზად გადაქცევისა“. ანდაზათა მსგავსად, ანტი-ანდაზები შეიცავს ფონოლოგიურ, სემანტიკურ და სინტაქსურ სტილისტურ ხერხებს, რომელიც ანდაზურ მარკერებად ითვლება. პრაგმატული თვალსაზრისით, სწორედ ეს მარკერებია, რომელიც მსმენელისთვის/ მკითხველისთვის ადვილად ამოსაცნობს ხდის ანდაზურ სტრუქტურას. ამგვარად, ყველა ის მახასიათებელი რაც ჩვეულებრივ ანდაზას გააჩნია, გააჩნია ანტი-ანდაზასაც.

ანტი-ანდაზები ტრადიციული ანდაზების ვარიანტებად უნდა მივიჩნიოთ. სამაგალითოდ ავიღოთ *Denize düşen yılanı sarılır – Denize düşen yosuna sarılır* [He who falls into the sea will grasp at a snake/moss]. ეს ანდაზები ეკვივალენტური ანდაზებია, ანუ ერთმანეთის ვარიანტებია, რადგანაც მათში ცვლილება უმნიშვნელოა, ლექსიკური ერთეულის ცვლა არ იწვევს ანდაზის შინაარსის ან სტრუქტურის ცვლას. მაგრამ ანტი-ანდაზა ტრადიციული ანდაზის ეკვივალენტად ვერ ჩაითვლება. ის უფრო ტრადიციული ანდაზის მოდიფიცირებულ ვარიანტს წარმოადგენს. ანტი-ანდაზაში შესამჩნევია ტრადიციული ანდაზისგან დამორება სემანტიკური, სტრუქტურული ან სტილისტური თვალსაზრისით. გარდა ამისა, ანდაზას შეიძლება გააჩნდეს მცირე რაოდენობის ეკვივალენტური ანდაზა, მაგრამ გაცილებით უფრო დიდი რაოდენობით მოდიფიცირებული ვარიანტები.

ანტი-ანდაზები ტრადიციული ანდაზებისგან გამოყენების თვალსაზრისითაც განსხვავდება: 1) ანტი-ანდაზები დროის მცირე მონაკვეთში არსებობენ; 2) ანტი-ანდაზები საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს არ ქადაგებენ; 3) არ ხდება ანტი – ანდაზების გადაცემა თაობიდან თაობას; 4) ანტი-ანდაზები სპეციფიკურია; დღესდღეობით კორონა ვირუსის თემაზე არაერთი ანტი-ანდაზაა შექმნილი. დიდი ალბათობით, ისინი იმთავითვე გაქრება, როცა თავად ვირუსი აღარ იარსებებს. 5) ანდაზები ობიექტურია, ანტი-ანდაზები – სუბიექტური. ანტი-ანდაზებში უკეთ ჩანს ინდივიდის დაკვირვების შედეგები, მისი ფიქრები, სურვილები, მსოფლიოში მიმდინარე საკითხების მიმართ მისი შეხედულებები, იუმორის გრძნობა, მაშინ როცა ტრადიციული ანდაზები საზოგადო ჭეშმარიტებას ქადაგებს, რომელიც საზოგადოების მიერ დაკვირვების და გამოცდილების შედეგადაა მიღებული.

მეტიც, ანტი –ანდაზები ინტერტექსტუალურია. იმისათვის, რომ მოხდეს ანტი-ანდაზის გაგება, მსმენელმა/მკითხველმა უნდა იცოდეს საიდან იღებს იგი სათავეს. სამაგალითოდ გამოგვადგება თურქული ანდაზა: *Windows'u seven maviye katlanır* [One who loves **Windows** bears **blue**]. აღნიშნული ანდაზა მომდინარეობს ტრადიციული თურქული ანდაზიდან *Gülü seven dikenine katlanır* [One who loves the rose bears the

thorn]. ანტი-ანდაზაში შეგნებულად გავამუქეთ კომპიუტერული ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი სიტყვები *windows* და *blue*. როგორც ვხედავთ იმისათვის, რომ მსმენელმა/მკითხველმა გაიგოს ანდაზის კონტექსტი, საჭიროა იცოდეს ინტერტექსტი. იგივე შეიძლება ითქვას ანგლო-ამერიკულ ანტი-ანდაზაზე *If you lie down with dogs, you must be **cicciolina*** [*If you lie down with dogs, you'll get up with fleas*]. მსმენელმა/მკითხველმა უნდა დაინახოს ინტერტექსტუალური კავშირი და ამასთანავე უნდა გააჩნდეს ფონური ცოდნა (ჩიჩოლინა - პორნო ვარსკვლავი).

კიდევ ერთი განსხვავება ტრადიციულ ანდაზებსა და ანტი-ანდაზებს შორის ისაა, რომ ტრადიციული ანდაზების ავტორთა სახელები ჩვენთვის უცნობია, მაშინ როცა ვიცნობთ ანტი-ანდაზების შემქმნელების რეალურ სახელებს ან ზედსახელებს. წარსულში ანდაზები ზეპირი სახით გადაეცემოდა თაობიდან თაობას და შესაბამისად ანონიმური რჩებოდა. თანამედროვე ეტაპზე, ინდივიდებს შესწევთ უნარი თავიანთი ემოციების და გრძნობების შესახებ დაწერონ სოციალურ ქსელებში, ბლოგებსა თუ კომენტარებში. შესაბამისად, ანტი-ანდაზები თავს იჩენს წიგნებში, სოციალურ მედიაში, ბლოგებში, სიმღერებში და არც მათი ავტორთა ვინაობის დადგენაა ძნელი.

სოციალური ქსელების : ფეისბუკი, ტვიტერი, ინსტაგრამი პოპულარობამ ხელი შეუწყო ანტი-ანდაზების გავრცელებას ფართო საზოგადოებაში. თუკი ტრადიციული ანდაზების გავრცელებას და მათ ანდაზად აღიარებას დიდი დრო სჭირდებოდა, დღეს ანტი-ანდაზების გავრცელება შექმნისთანავე ხდება. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ანგლო-ამერიკული და თურქული ანტი-ანდაზების უდიდესი ნაწილის გავრცელება სწორედ სოციალური მედიის საშუალებით მოხდა.

ანტი-ანდაზები თავიანთი იუმორისტული ბუნებით იპყრობენ მსმენელთა/მკითხველთა ყურადღებას. თურქული ანტი-ანდაზა *Coronalıyla yatan coronalı kalkar* [*One who lies down with a person who has corona (virus) gets up with corona*] მომდინარეობს ტრადიციული ანდაზიდან *Körle yatan şaşılı kalkar* [*One who lies down with the blind person, gets up squint eyed*]. ანტი-ანდაზაში ჩანაცვლებულია გარკვეული სიტყვები, თუმცა შენარჩუნებულია ტრადიციული ანდაზის სტრუქტურა. ანტი-

ანდაზა აოცებს და ღიმილს გვრის მკითხველს, რადგანაც ანდაზა შესანიშნავადაა მორგებული თანამედროვე ყოფას, კერძოდ კორონა ვირუსის გავრცელებას და მის სავალალო შედეგებს.

ანტი-ანდაზები არ არის ისეთი პოპულარული საზოგადოებაში, როგორ ტრადიციული ანდაზები. ანტი-ანდაზებს გასართობი ეფექტი აქვთ და მათი გამოყენება ხშირად ერთჯერადად ხდება. ფაქტიურად, ანტი-ანდაზების შემქმნელთა მიზანია გამოხატონ საკუთარი სათქმელი ხატოვნად და ლაკონურად, დასცინონ ტრადიციულ სიბრძნეს, რომელიც თანამედროვე ეტაპზე შეუსაბამობაში მოდის რეალობასთან. ანტი-ანდაზების შემქმნელები შეგნებულად ცვლიან ტრადიციულ ანდაზაში სიტყვას ან სიტყვებს, რათა, ანტი-ანდაზის შინაარსი მოარგონონ თანამედროვე მოვლენებს და იუმორისტული ეფექტი შექმნან.

ა. ლიტოვკინას (2014) თანახმად „ანტი-ანდაზები არა მხოლოდ იუმორისტული ბუნებისაა და ემსახურება მსმენელთა გახალისებას, არამედ მათ შესწავთ უნარი გააღვივონ სიძულვილი „სუსტი სქესის“, ჰომოსექსუალების, სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა მიმართ, ბოროტება დათესონ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის“. ამ აზრის მართებულობა ცხადყო ანგლო-ამერიკულმა და თურქულმა ანტი-ანდაზებმა.

ა. ლიტოვკინა (2014) მიიჩნევს, რომ ბევრ ანგლო-ამერიკულ ანტი-ანდაზაში ქალები წარმოდგენილია როგორც პრაგმატული არსებანი და „არარაობანი“: *Blondes prefer gentlemen with money* [Gentlemen prefer blondes]; *Man proposes and the girl weighs his pocketbook and decides* [Man proposes, God disposes].

ანტი-ანდაზის გასაგებად ფიგურალურ მნიშვნელობაზე დაკვირვება არაა საჭირო. იგი პირდაპირ უნდა იქნას გაგებული რათა კომიკურ ეფექტს მივაღწიოთ. თურქული ანტი-ანდაზების უმეტესი ნაწილი ინდივიდებს ეკუთვნის, რომლებიც კონკრეტულ თემატიკაზე ქმნიან ანტი-ანდაზებს და მათ სოციალური ქსელების საშუალებით ავრცელებენ. ანტი – ანდაზები არ არის ისეთი პოპულარული როგორც ტრადიციული ანდაზები, რადგანაც მათი გამოყენება მხოლოდ სპეციალურ კონტექსტში ხდება. შესაბამისად, ერთი და იგივე ანდაზის გამოყენება სხვა

კონტექსტში, იშვიათია. სპეციალურ თემებზე შექმნილი ანტი-ანდაზების რიცხვი განუსაზღვრელია და გვხვდება სხვადასხვა წყაროში, სხვადასხვა ფორმით. ასე მაგალითად, კორონა ვირუსის თემაზე შექმნილი თურქული ანტი-ანდაზების პოვნა შესაძლებელია თერთმეტ განსხვავებულ ვებგვერდზე. ანტი-ანდაზების სხვადასხვა ვარიანტი ფიქსირდება, განსხვავებული პუნქტუაციური ნიშნებით, ლექსიკური ერთეულებით, კავშირებითა თუ არტიკლებით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ანტი-ანდაზებს კონკრეტული ავტორი ყავს, რომლებიც სოციალურ მედიას, წიგნებს, ონლაინ ლექსიკონებს იყენებენ საკუთარი აზრის დასაფიქსირებლად. ანტი-ანდაზები ვრცელდება ვიზუალური (ფილმები, მულტფილმები, რეკლამები), აუდიალური (სიმღერები, პოლიტიკოსთა გამოსვლები) და ბეჭდვითი მედიის (წიგნები, საგაზეთო სტატიები) საშუალებით. როგორც ა. ლიტოვკინა ამბობს (2011) „არ არსებობს ცხოვრების ისეთი სფერო, რომელშიც არ ხდება ანტი-ანდაზების გამოყენება“.

1.2. ანდაზათა ტრანსფორმირების მექანიზმი

ლიტოვკინასა და მიდერის (2006:17) თანახმად, ანდაზების ტრანსფორმირების ძირითადი ხერხებია: ერთი სიტყვის მეორეთი ჩანაცვლება; რამდენიმე ლექსიკური ერთეულის ჩანაცვლება; ანდაზის პირველი ან მეორე ნაწილის შეცვლა; ორიგინალ ტექსტზე „კუდის“ დამატება; ორიგინალ ტექსტზე ინტერპრეტაციის დამატება, სიტყვათათამაში, სიტყვის გამეორება, ორი ანდაზის ერთმანეთთან შერწყმა. სიტყვათ წყობის ცვლა და ა.შ. ზემოთ აღნიშნული მექანიზმები მკვლევრებმა ანგლო-ამერიკულ ანტი-ანდაზებზე დაკვირვების შედეგად ჩამოაყალიბეს. თურქულ ანტი-ანდაზებში სხვა სახის მექანიზმებიც დაფიქსირდა, მაგალითად პოზიტიური მნიშვნელობის ზმნის ნეგატიურით ჩანაცვლება, ნეგატიური მნიშვნელობის ზმნის პოზიტიური მნიშვნელობის ზმნით ჩანაცვლება, ნარატიული თხრობა, ანდაზის იდიომატურ გამოთქმასთან დაკავშირება და სხვა.

ანტი-ანდაზებში ასახულია თანამედროვე ეპოქა მთელი თავისი სინამდვილით. პოპულარული სიმღერების, სატელევიზიო სერიალების,

სოციალური მედიის, პოლიტიკის, წიგნების ზეგავლენა ანტი-ანდაზათა შემქმნელებზე უდიდესია. მეტიც, თურქული საზოგადოება და თურქული ენა ხშირად სესხულობს ინგლისური ენიდან გარკვეულ ტერმინებს, მეტწილად სოციალური ქსელებისთვის დამახასიათებელ ან კომპიუტერულ ტერმინოლოგიას. დიდია თურქულ საზოგადოებაზე ინგლისური სიმღერების, ჟურნალ-გაზეთების, წიგნების და ფილმების ზეგავლენა. ინგლისური ენის ზეგავლენა არაერთ თურქულ ანტი-ანდაზაში გამოვლინდა, ასე მაგალითად: *Coderine bak codu include et* [Look at the coder, include the code]. ანდაზა მომდინარეობს ტრადიციული თურქული ანდაზიდან *Anasına bak, kızını al, kenarına bak bezini al* [Look at the mother, marry the daughter; examine the selvage, then buy the cloth.]

თანამედროვე ეპოქაში სოციალური მედიის და ტექნოლოგიების პოპულარობამ გამოიწვია ჰეშთეგების, თეგების და მედიისთვის დამახასიათებელი ტერმინების პოპულარობის ზრდა. ეს ფაქტი კარგად ჩანს შემდეგ მაგალითში: *DM'nin gelişi mention'dan bellidir* [The coming of DM is evident with 'mention']. ანტი-ანდაზა მომდინარეობს ტრადიციული ანდაზიდან: *Perşembenin gelişi çarşambadan bellidir* [The coming of Thursday is apparent with Wednesday.]

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ თურქულ ანტი-ანდაზებში თავს იჩენს ნაწყვეტები პოპულარული საპნის ოპერებიდან ან სიმღერებიდან. ამ სახის ნაწყვეტებს სტილისტიკური დატვირთვა აქვთ. სამაგალითოდ გამოგვადგება *Acele giden oha falan olur yane* [One who makes haste, will be shocked] რომელიც მომდინარეობს ტრადიციული თურქული ანდაზიდან *Acele giden ecele gider* [One who makes haste, goes to death.] ‘*Oha falan olur yane*’ არის ცნობილი ნაწყვეტი პოპულარული ტელესერიალიდან (Avrupa Yakası, 2004 -2009).

ზემოთ წარმოდგენილი ანტი-ანდაზების მაგალითები შეიძლება „გამიზნული ადაპტირების“ (intentional adaptation) მაგალითებად მივიჩნიოთ. აღნიშნული ტერმინის გამოყენება იმდენადაა მიზანშეწონილი, რამდენადაც ანტი-ანდაზათა შემქმნელების მიერ გამიზნულად ხდება თანამედროვე, ყველასთვის ცნობილი

სიტყვებისა თუ სიტყვით შეთანხმებების გამოყენება. გარდა ამისა, სიტყვა „დადაპტირება“ გულისხმობს ინგლისური სიტყვების თურქულ წინადადებებში გამოყენებას და გათავისებას.

1.3. ანტი–ანდაზების ძირითადი თემატიკა

თემატური თვალსაზრისით ანგლო–ამერიკული და თურქული ანტი–ანდაზები მრავალფეროვანია და საკმაოდ ვრცელ თემატიკას მოიცავს. მეთინ ყურთბასის (1993) მიერ შედგენილ ინგლისურ–თურქული ანდაზების ლექსიკონში დაახლოებით 172 თემატური კატეგორიაა გამოყოფილი, ესენია: მეზობლობა, სიმდიდრე, ძილი, ქალი, ოჯახი, მეგობრობა, ფულზე თამაში, ა.შ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ თურქულ ანტი–ანდაზებშიც მსგავსი თემატური მრავალფეროვნებაა. ტრადიციული თურქული ანდაზის *Borç yiğidin kamçısıdır* [Debt is the whip of the brave man] თემაა „ფულის სესხება“, მაშინ როცა მისგან წარმოებული ანტი–ანდაზის თემატიკა *Zamlar memurun stres topudur* [Rise is the stress balls of officers] იცვლება და უკავშირდება „ფასების ზრდას“.

ანგლო–ამერიკულ და თურქულ ანტი–ანდაზებში იშვიათად თუ მოიძებნება თემა, რომელსაც ანტი–ანდაზათა ავტორები არ შეხებია. თუმცა თემატური ინტენსივობის თვალსაზრისით განსხვავდება ანგლო–ამერიკულ და თურქულ ანტი–ანდაზებში. ანგლო–ამერიკული ანტი–ანდაზების თემატიკა მეტწილად ასეთია: სექსუალური ცხოვრება, ქალი, პროფესიები, ფული, სიყვარული, განქორწინება, მეგობრობა, განათლება, სწავლა/სწავლება, ალკოჰოლის და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, შვილები და მშობლები, გადასახადები, ღმერთი და რელიგია, მანქანები, კომპიუტერი (Mieder & Litovkina, 2006:26). რაც შეეხება თურქული ანტი–ანდაზების თემატიკას, იგი შემდეგნაირად გამოიყურება: სოციალური მედია, ბავშვების, კერძოდ ქალიშვილების აღზრდა, კომპიუტერული ტექნოლოგიები, კორონავირუსი და სხვა. თურქულ, ისევე როგორც ანგლო–ამერიკულ ანტი–ანდაზებში ბევრი სკაბრეზული სიტყვის შემცველი ანდაზაა, თუმცა მათი გამოყენება ნაშრომის ფარგლებში შეგნებულად არ მოხდა.

თავი II. ანტი-ანდაზა როგორც ინტერტექსტუალური ხუმრობის სახე და მისი იუმორისტული ბუნება

მოცემულ თავში შესწავლილია ანტი-ანდაზური ფრაზები ინტერტექსტუალური გადმოსახედიდან. ინტერტექსტუალობის ამოცნობა მკითხველს სხვადასხვაგვარად შეუძლია, ესენია: ციტირება, ალუზია, ექო, იმიტირება, პაროდია, პასტიში და სხვა. სწორედ ამ ხერხების საშუალებითაა შესაძლებელი ტექსტის ტრანსფორმირება და არსებული ტექსტიდან ახალი ვერსიის შექმნა. ანტი-ანდაზები ინტერტექსტუალობის გამოვლენის საუკეთესო საშუალებაა. ანტი-ანდაზებში ინტერტექსტუალობა იუმორისტულ ეფექტს ქმნის.

მ. ბახტინის თანახმად, ნებისმიერი ტექსტი რასაც ვკითხულობთ ან გვესმის, ოდესღაც უკვე ყოფილა წარმოთქმული ან დაწერილი. ამდენად მწერალი ან მთქმელი თავიდან კი არ ქმნის იმას, რასაც წერს ან ამბობს, არამედ იმეორებს უკვე დაწერილს ან ნათქვამს. არც ერთი ტექსტი არ არის უნიკალური. ტექსტებს შორის არსებობს ე.წ. დიალოგიზმი. მ. ბახტინის აზრით, ყველა გამონათქვამი, რომელიც ლიტერატურულ ტექსტში გვხვდება, უშუალო კავშირშია დიალოგსა და ციტატასთან, მასში ისმის სხვა გამონათქვამების ერთგვარი ექო. ანტი-ანდაზები იქმნება ტრადიციული ანდაზების ბაზაზე, მაგრამ მორგებულია თანამედროვე ყოფას და თანამედროვე ადამიანს.

მ. ბახტინის დიალოგიზმის თეორიამ გამოხატულება ჰპოვა ი. კრისტევას ინტერტექსტუალობის თეორიაში. ი. კრისტევას (1980) თანახმად, ინტერტექსტუალობა ყველა სახის ტექსტში იჩენს თავს და არ არსებობს არც ერთი ლიტერატურული თუ არალიტერატურული ტექსტი, რომელიც უნიკალური იქნება და არ იქნება დაკავშირებული რომელიმე სხვა ტექსტთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არსებობს ტექსტი, როგორც დასრულებული ერთეული – თითოეული ტექსტი სხვა ტექსტებს უკავშირდება და წარმოადგენს „ტექსტების კოსმოსის“, „გლობალური ტექსტის“ ნაწილს. ამდენად, ავტორები არ ქმნიან ორიგინალ ტექსტებს, ისინი ახდენენ ორიგინალი ტექსტების ტრანსფორმირებას, მოდიფიცირებას და

პაროდირებას. ი. კრისტევა (1980) მიიჩნევს, რომ მწერლები უპირველეს ყოვლისა არიან ტექსტების მკითხველები და შემდეგ ტექსტების შემქმნელები. ეს გახლავთ პოსტ-სტრუქტურალისტული და პოსტ-მოდერნისტული მიდგომა. ი. კრისტევას კონცეფციაში სრულიად უგულებელყოფილია ავტორის ინტენცია, კომუნიკანტებს შორის დიალოგს ენაცვლება დიალოგი ტექსტებს შორის და ინტერტექსტუალობა გვევლინება ყველა ტექსტისთვის დამახასიათებელ თავისებურებად. მკვლევარი ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტექსტის კითხვის პროცესს ართულებს, როცა ძველი ტექსტი ახალ ტექსტს ერწყმის და მკითხველს უხდება გადართვა ძველიდან ახალზე, რათა საბოლოოდ მოახდინოს მნიშვნელობის ინტერპრეტირება.

ი. კრისტევას ინტერტექსტუალობის თეორიას ჟ. ჟენეტის ჰიპერტექსტუალობამდე და ჟ. დერიდას დეკონსტრუქციის თეორიამდე მივყავართ. ჟ. ჟენეტის ტრანსტექსტუალობის კატეგორიათაგან, ერთ-ერთი „ჰიპერტექსტუალობა“ (წინარეტექსტის ტრანსფორმაცია), რაც გულისხმობს არსებული ტექსტის ტრანსფორმირებას, მოდიფიცირებას, გარდაქმნას ან გაფართოვებას. ანტი-ანდაზები ჰიპერტექსტუალობის გამოვლინებაა. თუკი მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ანტი-ანდაზის შემთხვევაში ხდება ტრადიციული ანდაზის იმიტირება და მისი სატირულ-იუმორისტული შინაარსით დატვირთვა, გამოდის, რომ იგი ჰიპერტექსტუალობის მაგალითია.

იმისათვის, რათა უკეთ გავიგოთ ანტი-ანდაზები, აუცილებელია ვიცოდეთ რა იყო მისი შექმნისას ინსპირაციის წყარო. ამ მოსაზრებას ჟ. დერიდას დეკონსტრუქციის სტრატეგიასთან მივყავართ. დეკონსტრუქცია გულისხმობს ტექსტის ხელახალ წაკითხვას სხვა ტექსტთან კავშირში. ასეთ შემთხვევაში ტექსტში აღარ ჩანს ავტორის უპირატესობა და ტექსტი ხდება მრავალმნიშვნელოვანი. ინტერტექსტუალობისა და დეკონსტრუქციის საშუალებით ჩანს, რომ მნიშვნელობა არ შეიძლება იყოს ერთადერთი და აბსოლიტური, პირიქით, მნიშვნელობა სცდება ინდივიდის ინტერესებს, მის გამოცდილებას, ცოდნას, ა.შ. როცა სოციალური მედიის წარმომადგენლები ქმნიან ანტი-ანდაზებს, ისინი ახდენენ ძველი ტექსტის

რეპროდუცირებას რომლის დროსაც ტრადიციული ანდაზის მნიშვნელობა გარდაიქმნება ანტი-ანდაზის შემქმნელის ინტერესებიდან და გაგებიდან გამომდინარე.

ინტერტექსტუალობაზე საუბარი გვხვდება რ. ბარტის ნაშრომებშიც, სადაც მინიშნებულია, რომ ტექსტი ეს არის ძველ ტექსტთა ერთობლიობა, ყოველი ახალი ტექსტი იქმნება ძველ ტექსტებზე დაყრდნობით. ყოველი ციტატა და ძველი ტექსტუალური ჩანართი საშუალებას აძლევს მკითხველს ახალი მნიშვნელობა აღმოაჩინოს ახალ ტექსტში და მოახდინოს ტექსტის ხელახალი ინტერპრეტაცია. რ. ბარტი მხატვრულად მიგვანიშნებს, რომ ძველ ტექსტთან ერთად „კვდება“ ძველი ტექსტის ავტორი და „იბადება“ მკითხველი, რომელიც ახლებურად გარდაქმნის ტექსტს. რ. ბარტის თანახმად, ტექსტი მრავალმნიშვნელოვანია, რაც იმას ნიშნავს, რომ მუდმივი ინტერაქცია არსებობს ტექსტის ავტორს, ტექსტის წამკითხველსა და სხვა ტექსტებს შორის. ანტი-ანდაზების შემთხვევაში ტრადიციული ანდაზის ავტორი ანონიმურია, სემანტიკური, სტრუქტურული და კულტურული სახის ცვლილებები კი ტრადიციული ანდაზის „კვდომას“ გულისხმობს.

დეკონსტრუქციის მაგალითად გამოგვადგება შემდეგი ანტი-ანდაზები, რომლებიც თურქულ სოციალურ მედიაში დაფიქსირდა: *Bir coronalı bir orduyu öldürür* [One who gets corona (virus) kills an army] მომდინარეობს ანდაზიდან *Korkak Bir Orduyu Bozar* [One coward can spoil an army], *Kuzguna civcivi lwl 60 görünür*¹ [A black raven is a lwl 60 in the eyes of the chicks] მომდინარეობს ანდაზიდან *Kuzguna yavrusu şahin görünür* [A black raven is a phoenix in the eyes of his parents.] ზემოთ დასახელებულ მაგალითებს თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ანტი-ანდაზათა თემატიკა მერყეობს ვირუსსა და კომპიუტერულ თამაშს შორის, ანუ ანტი-ანდაზათა შემქმნელები ინტერტექსტუალობას ეძებენ სხვადასხვა სფეროს შორის. რაკი აღნიშნული მაგალითები სოციალური მედიიდანაა, გამოდის, რომ ინტერტექსტუალობა წერილობითი ფორმით პოულობს გამოვლინებას. ნ. ნორიკმა გააფართოვა

ინტერტექსტუალობის ცნება რაც გამოიკვეთა მის მიერ შემუშავებულ დეფინიციაში: „ინტერტექსტუალობა თავს იჩენს როგორც ზეპირ, ისე წერილობით დისკურსში“. თურქი მკვლევარი კ. აკთულუმი ნორიკისგან განსხვავებულ აზრს ავითარებს, ამბობს რა „ინტერტექსტუალობა ვლინდება წერილობით ტექსტებს შორის, ხოლო ინტერდისკურსულობა ზეპირ ტექსტებს შორის“ (Aktulum, 2013:22). ანტი–ანდაზების შემთხვევაში ადგილი აქვს როგორც ინტერტექსტუალობას, ასე ინტერდისკურსულობას. მაგალითად ანტი–ანდაზა *Mutluluk aslanın ağzında* [Happiness is in the lion's mouth] მომდინარეობს ტრადიციული თურქული ანდაზიდან: ‘*Ekmek aslanın ağzında*’, [The bread is in the lion's mouth]. ანტი–ანდაზაში სიტყვა „ბედნიერება“ ანაცვლებს ტრადიციულ ანდაზაში დაფიქსირებულ სიტყვას „პური“. ეს ანტი–ანდაზა თურქული სიმღერიდანაა.

ინტერტექსტუალობა მიეკუთვნება პოსტსტრუქტურალისტურ და პოსტ მოდერნისტულ თეორიას, რადგანაც, მკითხველი, ვისაც აქვს კულტურული და ისტორიული ცოდნა, ადვილად განსაზღვრავს ტექსტის მნიშვნელობას, მაშინ როცა თანამედროვე ხედვა ობიექტურია. ფართე გაგებით, პოსტსტრუქტურალისტური თეორია ტექსტს განიხილავს, როგორც ობიექტს რომლის დეკოდირება უნდა განხორციელდეს და გამორიცხავს ობიექტურობას ინტერპრეტაციის დროს. მეტიც, პოსტსტრუქტურალიზმი, როგორც დისციპლინა აღიარებს, რომ არ არსებობს ცალკე ნაშრომი, ყველა ნაშრომი ერთმანეთისგანაა ამოზრდილი.

პოსტსტრუქტურალიზმის პერიოდში, როდესაც არ არსებობს ლოგიკური კავშირი პოსტსტრუქტურალისტურ ტექსტებს შორის, ანტი–ანდაზები არბიტრალურ წყობას ემორჩილებიან და ერთმანეთის მიყოლებით გვხდებიან სხვადასხვა პლატფორმებზე. მეტიც, ანტი–ანდაზები ერთმანეთთან არ არიან კავშირში და საკმაოდ შორდებიან იმ ანდაზებს, რომლისგანაც არიან წარმოქმნილი, შესაბამისად – გააჩნიათ პოსტსტრუქტურული მახასიათებელი. თურქულ და ანგლო–ამერიკულ ანტი–ანდაზათა კორპუსში ჩანს, რომ ისინი წარმოქმნილი არიან ტრადიციული

ანდაზებიდან, სადაც ანდაზათა სემანტიკის ცვლა ისე მიმდინარეობს, რომ მათ შემქმნელებს არც კი აღელვებთ რამდენად კარგად მოხდება ტექსტის აღქმა მკითხველების/მსმენელების მიერ. ანტი-ანდაზათა შემქმნელების მიზანია შექმნან კიდევ ერთი ანტი-ანდაზა, გამოიყენონ ინტერტექსტუალური კავშირები და მოარგონ ანდაზა სპეციფიკურ თემატიკას: ტექნოლოგიური ინოვაციები, კორონავირუსი, პოლიტიკა, სოციალური თუ ეკონომიკური საკითხები.

ასე მაგალითად, თურქეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ვებგვერდია “eksisozluk.com”. მასში თავმოყრილია სხვადასხვა თემაზე შექმნილი ანტი-ანდაზები, რომელშიც ყურადღებას იპყრობს ე.წ. *coder atasözleri* ‘Coder Proverbs’. ვებგვერდის მომხმარებლებმა 500-ზე მეტი ანტი-ანდაზა შექმნეს კომპიუტერული ტერმინების: *bug*, *code*, *coder* გამოყენებით. ერთ-ერთი ასეთი ანდაზაა: *İki coder bir olunca stackoverflow seyran olur* [When two coders are together, a stakeoverflow becomes a dream castle]. ანტი-ანდაზა მომდინარეობს ტრადიციული ანდაზიდან *İki gönül bir olunca samanlık seyran olur* [When two hearts beat as one, a hayloft becomes a dream castle]. აღნიშნულ ანდაზაში ანდაზის შემქმნელი არ აქცევს სემანტიკას ყურადღებას და იყენებს ტერმინებს “coder” და “stackoverflow” რომლებიც არა თურქული წარმოშობის სიტყვებია. გარდა ამისა, ანდაზა შეიცავს ტექნიკური შინაარსის სიტყვებს, რაც ამ ტერმინების მნიშვნელობას ძნელად გასაგებს ხდის. შეიძლება ითქვას ანტი-ანდაზები რომლებიც ამ ვებ გვერდზეა განთავსებული, შექმნილია ადამიანთა მცირე ჯგუფისთვის, ვისთვისაც ეს კომპიუტერული ტერმინოლოგია უცხო არ არის.

ძნელი სათქმელია არის თუ არა კავშირი ტრადიციულ და ანტი-ანდაზებს შორის მნიშვნელობის თვალსაზრისით. ასე მაგალითად, ანტი-ანდაზა *Acele koda syntax error karışır* [The syntax error takes a hand in a code hastily written] მომდინარეობს ტრადიციული ანდაზიდან *Acele işe şeytan karışır* [The devil takes a hand in a work hastily done]. ამ ანდაზებს შორის არ არის სემანტიკური მსგავსება, მაგრამ სინტაქსი და ლექსიკის გარკვეული ნაწილი მსგავსია, რომელიც მკითხველს ძველ, ტრადიციულ ანდაზას აგონებს.

ანტი-ანდაზებს და ტრადიციულ ანდაზებს შორის კავშირი არბიტრალური და ასოციაციურია. არბიტრალურობა გამოიხატება ანტი-ანდაზათა შემქმნელების თავისუფალ თემატურ არჩევანში, ხოლო ასოციაციურობა თავს იჩენს კონკრეტული სიტყვების თუ სტრუქტურის შერჩევაში. კონოტაცია იცვლება სხვადასხვა ფაქტორების: ადამიანთა გამოცდილება, ცოდნა, სოციალური სტატუსი გამო და ანტი-ანდაზათა შემქმნელებს უბიძგებს სხვადასხვა სახის ანტი-ანდაზების შექნისაკენ.

2.1.2. ინტერტექსტუალობის მნიშვნელობა

ინტერტექსტუალობა გადამწყვეტ როლს ასრულებს კულტურის დეკოდირების საქმეში. ინდივიდები, რომლებიც ქმნიან კულტურას, განიცდიან ყველაფერი იმის ზეგავლენას, რაც მათ ირგვლივ ხდება. ანტი-ანდაზებში ყოველთვის ჩანს სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში არსებული ძვრები. ინტერტექსტუალური მიდგომა განაპირობებს ტრადიციათა გადახალისებას და ფოლკლორს დინამიურობას სძენს. ფაქტიურად, კულტურული და ფოლკლორული ელემენტები მანამ ცოცხლობს, სანამ დინამიურობა არ დაუკარგავთ. ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია კულტურული ელემენტების გადახალისებაზე და თანამედროვე მიღწევებზე. აკთულუმის (2013:9) თანახმად, ფოლკლორული ტექსტის ერთი პერიოდიდან მეორე პერიოდში გადატანა ცვლილებების გაკეთების გარეშე სტერეოტიპთა გაჩენის საწინდარია. იგივე მკვლევარი (2013:9) ამბობს, რომ რაც ტრადიციულია, ის კულტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. ტრადიციას უდიდესი როლი აკისრია და იგი ყოველთვის რეპროდუცირებისკენ/ ხელახალი გარდაქმნებისკენ არის მიდრეკილი.

2.1.3. ინტერტექსტუალურობა - იუმორის წყარო

როსის თანახმად, იუმორი არის „ის, რაც ადამიანში სიცილს ან ღიმილს იწვევს“ (როსი, 1998). იუმორს შეისწავლის არაერთი დისციპლინა: ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ლინგვისტიკა, სოციოლოგია, ლიტერატურა და ა. შ. იუმორის თეორიები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად: უპირატესობის (აღმატებულობის) თეორია, განმუხტვის თეორია და შეუსაბამობის თეორია.

იუმორის უპირატესობის თეორიის თანახმად, იუმორს ქმნის ადმატებულობის შეგრძნება, რომელიც წარმოიშობა საკომუნიკაციო აქტის მონაწილე პირში სხვა პიროვნების არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩენის გამო (მარტინი, 1998). **განმუხტვის თეორია** უპირველესად იუმორის ფსიქოლოგიური თეორიაა და უკავშირდება ზ. ფროიდს. ფროიდის ფსიქოანალიტიკური თეორიის ძირითადი მტკიცებულება – იუმორი, ერთგვარი თავდაცვის მექანიზმი, გვეხმარება ნეგატიური, არასასიამოვნო ემოციის შიშის, მწუხარებისა თუ სევდის დაძლევაში (მარტინი, 1998). **შეუსაბამობის თეორია** ორიენტირებულია იუმორის კოგნიტურ ელემენტებზე. მარტინის თანახმად, იუმორი გულისხმობს ორი სრულიად შეუსაბამო იდეის, კონცეპტისა თუ სიტუაციის ერთმანეთთან დაკავშირებას მოულოდნელობისა და გაოცების ეფექტის შექმნის თვალსაზრისით, ანუ, შეუსაბამობას ნათქვამსა და ნაგულისხმევს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ ანტი-ანდაზების იუმორი იქმნება წყარო და ახალი ტექსტის შედარების შედეგად. შესაბამისად, წყარო ტექსტის ამოცნობა მეტად მნიშვნელოვანია მიმღებისთვის რადგანაც სწორედ ის განაპირობებს იუმორისტული ეფექტის შექმნას. მსმენელის/მკითხველის დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ, მისი ფონური ცოდნა, რწმენა, ამა თუ იმ ჯგუფის წევრობა, გარემო პირობები, არსებით როლს ასრულებს საწყისი ტექსტის ამოცნობის დროს. როგორც ნ. ნორიკი (1989) აღნიშნავს, იუმორი დამოკიდებულია გარკვეულ პირობებზე, როგორცაა აუდიტორია, სიტუაცია და კულტურული კონტექსტი. ანტი-ანდაზა *Ebolanın olmadığı yerde coronaya abdurrahman çelebi derler* [Where there is no Ebola (virus), corona (virus) is called as 'Aburrahman Çelebi'] [სადაც ებოლა (ვირუსი) არ არის, იქ კორონა (ვირუსს) უწოდებენ 'Aburrahman Çelebi'] მომდინარეობს ტრადიციული ანდაზიდან: *Koyunun bulunmadığı yerde, keçiye Abdurrahman Çelebi derler* [Where there are no sheep, goats are called as 'Aburrahman Çelebi'], [სადაც ცხვრები არ არის, იქ თხებს ეძახიან 'Aburrahman Çelebi'-ს]. ეს ანტი-ანდაზა აგებულია ალუზიაზე. ყველამ იცის, თუ რას წარმოადგენს ებოლა და კორონა ვირუსები, ამიტომ ადამიანებისთვის ის მარტივი გასაგებია.

„კონტექსტი“ ძალზედ მნიშვნელოვანია ანტი-ანდაზების როგორც შექმნის, ასევე გაგების თვალსაზრისით. ნებისმიერ ტექსტზე კონტექსტი გავლენას ახდენს სოციალურად, პოლიტიკურად, კულტურულად თუ ისტორიულად. მეტიც, შემქმნელის პირადი ცხოვრება და სამყაროს აღქმა მისი კონტექსტის ნაწილია და საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ ტექსტის მნიშვნელობა. ამ მიდგომის ძირითადი ტერმინებია „გავლენა“ და „შთაგონება“. გავლენის კონცეფცია უპირატესობას ადრინდელ ტექსტს ანიჭებს უფრო, ვიდრე გვიანდელ ტექსტს, რომლის წყაროდაც ის გვევლინება. თუმცა პირიქითაა შთაგონების დროს, რადგან ის შემდგომ ტექსტს ეხება, როგორც ინოვაციურ გაუმჯობესებას წინა ტექსტთან შედარებით (ლანდვერი, 2002:2). რაც შეეხება ანტი-ანდაზების შემქმნელებს, მათზე გავლენას ახდენს მათ ირგვლივ არსებული პირობები, ამავე დროს ისინი შთაგონებულნი არიან ტრადიციული ანდაზებით. ანტი-ანდაზების შემქმნელთა ირგვლივ უნდა იყოს რაიმე მასტიმულირებელი მოვლენა, რათა მათ შეძლონ მოვლენის აღუდირება და ანტი-ანდაზის შექმნა. მეტიც, ანტი-ანდაზათა შემქმნელებზე შთაბეჭდილებას ახდენს ტრადიციული ანდაზები და არა უბრალო წინადადებები, მსგავსად *Çok gezen korona olur* [He who travels much catches corona (virus)]. ანტი-ანდაზათა შემქმნელები ამჯობინებენ სათქმელის გამოხატვას ტრადიციული ანდაზის ტრანსფორმირებით *Çok gezen mi korona olur çok okuyan mı?* [Who catches corona (virus) one who travels much or who reads much?]. ეს უკანასკნელი მომდინარეობს *Çok gezen çok bilir* [He that travels much knows much]. რაც შეეხება მსმენელს/მკითხველს, მათ უნდა დაინახონ ინტერტექსტუალური კავშირები ანტი-ანდაზასა და ტრადიციულ ანდაზას შორის. მხოლოდ ამგვარად გახდება ანტი-ანდაზა პოპულარული.

პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებული ანდაზებიც კი ღიმილს იწვევს მსმენელებში/მკითხველებში მოულოდნელი ეფექტის გამო. როგორც ვინიკი (1998: 238) ამბობს: „... იუმორი იქმნება მნიშვნელობათა ორი დონის თანხვედრის შედეგად. პირველია – მეტაფორული მნიშვნელობა, რომელიც ჩვეულებრივ ანდაზას გააჩნია, ხოლო მეორეა – ახალი, მოულოდნელი პირდაპირი მნიშვნელობა“.

ანდაზის პირველ ნაწილს ძირითადად პირდაპირი მნიშვნელობა გააჩნია, მაშინ როცა ანდაზათა მეორე ნაწილის ტრანსფორმირება და პაროდირება ხდება. ანდაზა Tencere yuvarlanmış kapağını bulmuş [The pot rolled and found its lid] [ქოთანი შემოგორდა და იპოვა მისი სახურავი] ანტი-ანდაზად შემდეგნაირად გარდაიქმნა: Tencere yuvarlanmış yemekler dökülmüş [The pot rolled and the dishes are poured out], [ქოთანი გადაყირავდა და კერძი გადაიღვარა]. ტრადიციულ ანდაზაში „მოძრავი ქოთანი“ მეტაფორულადაა გამოყენებული და გულისხმობს ადამიანს, რომელმაც მისნაირი ცუდი მეგობარი იპოვა. მაშინ როცა ანტი-ანდაზაში „მოძრავი ქოთანი“ პირდაპირი მნიშვნელობითაა გამოყენებული.

ანტი-ანდაზების ინტერტექსტუალური ანალიზი გულისხმობს სოციუმის წევრების მიერ კავშირის პოვნას ტექსტებს და მათ მიერ დაგროვებულ ცოდნას, გრძნობებსა და გამოცდილებას შორის. თუმცა, ანალიზის სტანდარტების არარსებობის გამო, ანტი-ანდაზების იუმორისტული მხარის შესწავლა იუმორის თეორიების საშუალებით რთული პროცესია. მაგალითად, ტრადიციული ანდაზა Korkunun ecele faydası yoktur [There is no use of fear of death] [სიკვდილზე შიშს აზრი არ აქვს] ანტი-ანდაზად გარდაიქმნება როგორც Korkunun ecele faydası yoktur, sadece iç çamaşırları kirletir [Cowards die many times before their deaths; it only dirties the underwear] [მშიშრები, სიკვდილამდე ადრე კვდებიან; ეს მხოლოდ საცვლებს აბინძურებს.] ანტი-ანდაზის პირველი ნაწილი ანდაზაა "Cowards die many times before their deaths," ხოლო მეორე ნაწილი – იდიომია "frighten the pants off", მნიშვნელობით „ძლიერი შეშინება“. ანტი-ანდაზის იუმორი ორი წყაროდან მოდის: პირველია ანდაზის მოულოდნელი გაგრძელება, ხოლო მეორე – ევფემისტური იდიომი. დასახელებული ანტი-ანდაზა შეიძლება განვიხილოთ იუმორის განმუხტვის თეორიის კატეგორიის მიხედვით. ანდაზა, რომელიც შეიცავს ადამიანისთვის უსიამოვნო თემას, „სიკვდილის“ თემას, მსმენელში/მკითხველში სტრესს იწვევს, სანამ ანდაზის მეორე ნაწილს არ გაეცნობა.

თავი 3. მსოფლიოს ანდაზური და ანტი-ანდაზური სურათი

ანდაზებში კარგად ჩანს საზოგადოების სულიერი და მატერიალური მდგომარეობა, კულტურული მემკვიდრეობა. თითოეულ კულტურას საკუთარი გამონათქვამები აქვს. ანდაზით: „თუ გინდა ამა თუ იმ კულტურის ხალხს იცნობდე, მათი ანდაზები უნდა იცოდე“, ნათქვამია, რომ ანდაზები კულტურის სარკეა.

სიზღიკოვის (2014) თანახმად, ანდაზის უპირველესი მიზანია წარმოაჩინოს რეალობა, კერძოდ როგორია ადამიანების მიერ რეალობის აღქმა და როგორ ხდება მათ მიერ რეალობის შეფასება. როცა ტრადიციული, ძველი ანდაზები ვეღარ ასახავენ რეალობას, ხდება მათი გარდაქმნა ახალი რეალობის შესაბამისად. ვებგვერდზე www.uludagsozluk.com. ერთ-ერთი მომხმარებელი წერს: "Bir çok atasözü bugün artikl hakliligini yitirmistir, yeni atasözlerine ihtiyacimiz var" „დღეს ბევრმა ანდაზამ დაკარგა აქტუალობა, ამიტომაც გახდა ახალი ანდაზების შექმნის აუცილებლობა“. მსგავსი სიტუაციაა ამერიკაშიც, რასაც წიგნი „ანდაზები სიტყვებზე უფრო ხმამაღლა საუბრობენ“ (2008) ადასტურებს. წიგნის ავტორი ვ.მიდერი მიუთითებს იმ ჟურნალისტებსა და მწერლებზე, რომლებიც მიზანმიმართულად ქმნიან ანტი-ანდაზებს, რადგანაც ძველი ანდაზები აღარ შეეფერება თანამედროვეობას.

აღნიშნულ მტკიცებულებას მიდერი (2008: 99) შემდეგნაირად ეწინააღმდეგება: „ისინი (ჟურნალისტები, მწერლები) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცრუ იდეის გავრცელებაში, თითქოსდა ანდაზები გარკვეული მიზეზების გამო გამოუსადეგარი გახდნენ“. მიდერი (2008:99) იქვე დასძენს: „ანდაზები როგორც სიბრძნის გამომხატველი ბრძნული ენობრივი ფორმულები, ყოველთვის ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას და არასოდეს ძველდებიან“. სინამდვილეში, ანდაზები მაშინ ჩანს მოძველებულად, როცა პირდაპირი მნიშვნელობით ხდება მათი გაგება. მაგრამ თუკი მოხდება მათი მნიშვნელობის გაშიფვრა მეტაფორულად, სხვადასხვა მნიშვნელობა დაფიქსირდება სხვადასხვა სიტუაციასა და კონტექსტში. ანტი-ანდაზების არსებობა უწყვეტ ტრადიციასაც ადასტურებს (Gürçayır, 2008).

ტრადიციული ანდაზების ცვლა არ წარმოადგენს ახალ ტენდენციას. როგორც აკსოი (1988: 28) ამბობს: „ექვგარეშეა, რომ ერთმა კონკრეტულმა ადამიანმა შექმნა ანდაზის პირველადი მონახაზი. თუმცა, დროთა განმავლობაში, სხვა ადამიანებმა ის თანდათან შეამცირა, რაღაც დაამატა, რაღაც შეცვალა; მათ ანდაზას ის ფორმა მისცეს, რომელიც საზოგადოებისთვის მოსაწონი და მისაღებია.“ ოზეზენი (2016) ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ენა დინამიური ფენომენია, იგი ინდივიდუალური თავისუფლების გამოხატვის სფეროა. აქედან გამომდინარე, სამყაროში, რომელიც მუდმივ განახლებას განიცდის, ანდაზათა სემანტიკურ–სტრუქტურული ცვლა მოულოდნელობა სულაც არ არის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანდაზების ტრანსფორმირება - ენობრივი თამაშია; მას ყველა იყენებს, ვისაც იუმორი აქვს და მიკითხველის/მსმენელის ყურადღების მიპყრობა აინტერესებს. ამავე დროს ანტი-ანდაზები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სოციალიზაციისთვის გამოიყენება. ბულრას მიხედვით (2005), ანდაზების გავრცელება ისეთ ონლაინ პლატფორმაზე, როგორცაა eksisozluk.com, განიხილება, როგორც ანდაზების ზეპირი კულტურის გადატანა ონლაინ პლატფორმაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ანტი-ანდაზები დროებითი და სპონტანური ჩანს და ასახავს შემქმნელის ღირებულებებს, კულტურას, გრძნობებს, პოლიტიკურ აზრს და სხვა, ოზეზენის მიხედვით (2016), ეს არის ენობრივი რეპროდუცირების პროცესი, რომელსაც კულტურაში არსებული ღირებულებების ცვლაც თან სდევს.

გჩრჩაირი (Gırçayır) (2008) ამტკიცებს, რომ ანტი-ანდაზები გადაეცემა არა თაობიდან თაობას, არამედ ფორუმიდან ფორუმს. ანტი-ანდაზებში არ ჩანს საზოგადოების გამოცდილება; ანტი-ანდაზები იმ სამყაროში ადაპტირდება, სადაც ინფორმაცია სწრაფად იცვლება. სეჩკინის (2017) თანახმად, ანტი-ანდაზები საზოგადოების კონკრეტული ჯგუფის გამოცდილების საფუძველზე იგება, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ვერ მოვარგებთ მთელ საზოგადოებას. ტრადიციული ანდაზებისგან განსხვავებით, ანტი-ანდაზებს ვიწრო მნიშვნელობა აქვთ და მათი გაგება კონკრეტულ

ცოდნას მოითხოვს. როცა ანდაზაში ხდება სიტყვების ჩანაცვლება სხვადასხვა სფეროს ტერმინოლოგიით, ეს იმის მაჩვენებელია, რომ საზოგადოება კარგად იცნობს ტრადიციულ ანდაზას, იცნობს ამა თუ იმ სფეროსთვის დამახასიათებელ ტერმინოლოგიას და შეუძლია ენობრივი თამაშის განხორციელება. მაგალითად, bug coderin kamçısıdır [Bug is coder's whip], მომდინარეობს ანდაზადან Borç yiğidin kamçısıdır [Debt is brave's whip] და გვიჩვენებს, რომ ანტი-ანდაზის გაგება ვერ მოხერხდება კომპიუტერული ტერმინოლოგიის სიღრმისეული ცოდნის გარეშე.

ლინგვისტური თვალსაზრისით, სოციალური მედია, რომელიც მოიცავს სპონტანური, ფორმალური, არაფორმალური ტექსტების ფართო სპექტრს, უდიდეს ზეგავლენას ახდენს კულტურაზე, მუსიკაზე, კინოზე, ლიტერატურაზე და ანდაზებზე. როგორც ფურედი (2014) აცხადებს, „ინტერნეტი გარდაქმნის ადამიანის ცხოვრებას შემოქმედებითი არსებობისკენ“. მეტიც, სოციალური მედია დისკურსი ხშირად იყენებს ანდაზებს, რადგან ანდაზები საუკეთესო საშუალებაა მოსაზრებების, რწმენის გამოსახატავად. პრაგმატული თვალსაზრისით, ანდაზების გამოყენება დამოკიდებულია მომხმარებლის მიზნებსა და განზრახვებზე. შესაბამისად, სოციალური ქსელები ის პლატფორმაა, რომელიც მოუწოდებს მომხმარებლებს არა მარტო გააზიარონ ანდაზები, არამედ გაერთონ მათი საშუალებით.

სოციალურ მედიასა და კულტურას შორის ურთიერთობა ინტერაქციული და დინამიურია. სოციალური მედია წარმოადგენს საშუალებას, რომლის მეშვეობითაც ვახდენთ ახალი იდეების, იდენტობების და სხვადასხვა კულტურის ერთმანეთთან დაკავშირებას. ამ თვალსაზრისით, სოციალური მედია მომხმარებლებს უბიძგებს შექმნან მსგავსი სახის ანდაზები. ანტი-ანდაზები არსებობს სხვადასხვა კულტურასა და ენაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ანტი-ანდაზები სოციალური მედიიდან არ ამოიზრდებიან, ისინი ტრადიციული ანდაზებიდან აღმოცენდებიან. და მაინც, სოციალური მედია უდიდეს როლს ასრულებს ანტი-ანდაზების შინაარსის თუ სტრუქტურის ცვლაში და მათი რაოდენობის ზრდაში.

ქვემოთ წარმოვადგენთ ანგლო-ამერიკული და თურქული ანტი-ანდაზების მაგალითებს, რომლებიც გაანალიზებულია კულტურული გადმოსახედიდან.

თანამედროვე სამყაროში, რაღაცის არ ცოდნა ხშირად ნაკლად მიიჩნევა. ადამიანები ისე იქცევიან, თითქოს ყველაფერი იციან (Firat, 2008). ეს დამოკიდებულება შემდეგ ანტი-ანდაზაშიც ჩანს: *Bilmemek ayıp değil, Yeter ki çaktırma* [There is no shame in not knowing as long as you do not reveal that you do not know] [არცოდნა სირცხვილი არ არის, სანამ არ გაამჟღავნებ, რომ არ იცი]. ანტი-ანდაზა მომდინარეობს ტრადიციული ანდაზიდან *Bilmemek ayıp değil, öğrenmemek ayıptır* [There is no shame in not knowing; the shame lies in not finding out] [არ ცოდნა სირცხვილი არ არის; სირცხვილია არ გასურდეს შესწავლა]. კიდევ რამდენიმე ანტი-ანდაზა, რომლიც ამავე მდგომარეობაზე მიუთითებს: *Bilmemek ayıp değil, önemli olan çaktırmamak* [Not knowing is not a shame; the important thing is not to show that you do not know] [არ ცოდნა არ არის სირცხვილი; მთავარია არ თქვა, რომ არ იცი]; *Bilirsen söz söyle ibret alsınlar, yok bilmezsen başını salla rapçı sansınlar!* [If you know, say it and let them draw a lesson from it; If you do not know, shake your head and let them think you are a rapper] [თუ იცით, თქვით და მიეცით სხვებს საშუალება ისწავლონ; თუ არ იცით, თავი ჩახარეთ.]

თურქეთში სიღარიბე უდიდესი პრობლემაა. ძნელია სამუშაოს პოვნა და საკმარისი ფულის გამომუშავება. ამ რთულ მატერიალურ მდგომარეობას შემდეგი ანტი-ანდაზა აღწერს: *Fakirlik ayıp değil, @... tembellik ayıp* [Poverty is not shameful, @... laziness is] [სიღარიბე არ არის სამარცხვინო, @... სიზარმაცე - არის]. ანტი-ანდაზა სათავეს შემდეგი ტრადიციული ანდაზიდან იღებს *Bilmemek ayıp değil, sormamak ayıp* [It is not shameful not to know; it is shameful not to ask] [სამარცხვინო არ არის არ იცოდე; სირცხვილია არ იკითხო]. ტრადიციული ანდაზა ამბობს, რომ სამარცხვინო არ არის შეკითხვა, სამარცხვინოა არ იცოდე და არც გაინტერესებდეს გაგება. ანტი-ანდაზა კი გვასწავლის, რომ სიღარიბე არ არის სამარცხვინო და ხალხი უნდა ეცადოს, იპოვოს სამსახური და იმუშაოს. ეს ანტი-ანდაზა შეიქმნა სოციალური მედიის მომხმარებლის მიერ. ანდაზის შემქმნელმა ანტი-ანდაზაში გამიზნულად დაამატა "@...", რათა

კონკრეტული მომხმარებლისთვის გადაეცა შეტყობინება. ანტი-ანდაზაში შენარჩუნებულია ტრადიციული ანდაზის ორივე მხარის ზმნა, მაგრამ ახალი შინაარსით დატვირთულმა სიტყვებმა შეცვალა თემა.

წარსულში ადამიანები ძირითადად იქ ამჯობინებდნენ ცხოვრებას, სადაც იზადებოდნენ, სადაც მათი ოჯახები ცხოვრობდა. თუმცა, დღესდღეობით თანამედროვე მსოფლიოში, ბევრი ადამიანი ამჯობინებს იცხოვროს ისეთ ადგილებში, სადაც მეტ სარგებელს ნახავენ. ანდაზა *Bülbülü altın kafese koymuşlar*, "ah vatanım" demiş [They put a gold bullion cage, said "ah country"] [მათ ოქროს ზოდის გალია დადგეს, „ვაჰ ქვეყანავ“] გადმოგვცემს აზრს, რომ არაფერია თავისუფლების ფასი და რაც არ უნდა მდიდრული იყოს გარემო, ადამიანს მაინც მოენატრება საკუთარი სახლი. ბულბული მეტაფორულად ადამიანის სულს ნიშნავს, ხოლო ოქროს გალია - სიმდიდრეს და ფულს. ანდაზის ისეთ ვარიანტებში, როგორიცაა *Bülbülü altın kafese koymuşlar*, "Oh ne rahat" demiş [They put a gold bullion cage, said "so comfortable"] [მათ ოქროს ზოდის გალია დადგეს, „რა კომფორტულია?!“]; *Bülbülü altın kafese koymuşlar* "24 ayar olsun" demiş [They put a gold bullion cage, said "let it be 24 carats"] [მათ დადგეს ოქროს გალია, „დაე 24 კარატის იყოს] ან *Bülbülü altın kafese koymuşlar*, *bunun swarovski taşlısı yok mu* demiş [They put a gold bullion cage, said "Is not there a cage with swarovski"] [მათ ოქროს ზოდის გალია დადგეს, „სვაროვსკით ხო არ არის მოოჭვილი?“]. ანტი-ანდაზებიდან ჩანს, რომ თურქულ საზოგადოებაში, სახლთან ახლოს ცხოვრება არ არის მნიშვნელოვანი, მთავრია ცხოვრების პირობები იყოს კარგი. ტრადიციული ანდაზა ხაზს უსვამს ისეთ მორალურ ღირებულებებს, როგორიცაა სახლი, კუთვნილების შეგრძნება; მაშინ როდესაც ანტი-ანდაზა ხაზს უსვამს მატერიალურ ელემენტებს, როგორიცაა ფული, ოქრო, ძვირფასი ქვა.

ბიბლიური ანდაზა „Spare the rod, spoil the child“ ნიშნავს, რომ თუ მშობელი უარს იტყვის ურჩი ბავშვის მორჯულებაზე, ბავშვი მიეჩვევა ურჩობას. თანამედროვე მშობლები წინა თაობების მშობლებთან შედარებით ნაკლებ დომინანტურ პოზიციაში იმყოფებიან. ამიტომ, მშობლები შვილების დასჯის ნაცვლად დისციპლინის

სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ. ტრადიციული ანდაზის გარდაქმნილი ვერსიებია: *Do not spare the rod, or you may someday find junior carrying one* (ნუ შეიკავებთ თავს შოლტის გამოყენებისგან, თორემ ერთ დღესაც იგი შეიძლება ახალგაზრდას ხელში აღმოჩნდეს); *spare the hot rod and save the child* (თავი შეიკავეთ ჯოხის გამოყენებისგან და გადაარჩინეთ ბავშვი); *spare the rod, and you will get struck by lightning* (თავი შეიკავეთ შოლტისგან და მეხი დაგეცემათ); *spare the rod and you will have no fish for dinner* (თავი შეიკავეთ შოლტისგან და სადილად არ გექნებათ თევზი); *spoil the rod and spare the child* (გააფუჭეთ შოლტი და დაზოგეთ ბავშვი). საინტერესოა ის ანტი-ანდაზები, რომლებიც იგივე ტრადიციული ანდაზიდან იღებენ სათავეს, მაგრამ ქალების / ცოლების აღზრდას ეხება. მაგალითად: *Spare the marcel and spoil the woman; spare the rod and spoil the wife,*

ტრადიციული ანდაზა „Save for a rainy day“ ფულის გადანახვას გვასწავლის შავი დღისათვის. მაგრამ ეს მიდგომა მიუღებელია თანამედროვე ადამიანისთვის. თანამედროვე ადამიანს სურს შეიძინოს ნივთები, შეიქმნას ფუფუნება, არ ჩამორჩეს ტექნოლოგიებს, ფეხი აუწყოს მოდას. ამგვარად, ის ხარჯავს ფულს იმისათვის, რომ არაფერი მოაკლდეს. ანტი-ანდაზები, რომლებიც ზემოთ დასახელებული ანდაზიდან იღებენ სათავეს შემდეგია: *It is wise to save for a rainy day - raincoats and umbrellas are quite expensive* (გონივრულია, შავი დღისთვის ფულის დაზოგვა - საწვიმარი ლაბადა და ქოლგები საკმაოდ ძვირია); *rainy days come to those who save up for them* (შავი დღეები მათთანაა, ვინც ამისთვის მზადაა); *save up your money, and then stay home when it rains* (დაზოგეთ ფული და დარჩით სახლში წვიმის დროს); *the man who cannot save for a rainy day should move to the desert* (ადამიანს, რომელსაც შავი დღისთვის ფულის დაზოგვა არ შეუძლია, საცხოვრებლად უდაბნოში უნდა გადავიდეს); *when you finally save enough for a rainy day, some of your relatives start sending in bad weather reports* (როდესაც საკმარის თანხას გადაინახავთ შავი დღისთვის, თქვენი ნათესავები დაიწყებენ თქვენს შეწუხებას).

ანგლო-ამერიკული და თურქული ანტი-ანდაზების ანალიზმა აჩვენა, რომ მოხდა ზოგიერთი ცნების: ცოდნა, გონიერება, კუთვნილების შეგრძნება, პატიოსნება, ღირებულების გადაფასება. გამოჩნდა ბევრი ისეთი ანდაზა, რომელიც ასახავდა ძალადობრივ ქმედებებს, ფინანსურ პრობლემებს, სოციალური მედიის ზეგავლენას. ანგლო-ამერიკული და თურქული საზოგადოების შეცვლილმა ღირებულებათა სისტემამ უბიძგა ადამიანებს მოეხდინათ ანდაზათა ტრანსფორმაცია და ისინი ახალ გამოცდილებაზე მოერგოთ. საერთო ჯამში, ანდაზები მნიშვნელოვანია საზოგადოებაში არსებული ცვლილებების გამოსახატავად. რაც უფრო იცვლება საზოგადოება და გარემო პირობები, მით უფრო იცვლება ანდაზები.

თავი IV. ანგლო-ამერიკული და თურქული ანტი-ანდაზების ლინგვისტური თავისებურებები

აღნიშნულ თავში ანტი-ანდაზები შესწავლილია ფონეტიკური, სტილისტური და სემანტიკური თვალსაზრისით. მასში პასუხია გაცემული შემდეგ შეკითხვებზე: რომელი სტილისტური ხერხები მონაწილეობენ ანტი-ანდაზების შექმნაში? რა ემართება გარდაქმნის შემდგომ ტრადიციული ანდაზების გადატანით, ფიგურალურ მნიშვნელობას? ეს თავი ასევე ყურადღებას ამახვილებს ანტი-ანდაზების სინტაქსურ ევოლუციაზე.

4.1. ანგლო-ამერიკული და თურქული ანტი-ანდაზების სტილისტური თავისებურებები

ნაციციონეს მიხედვით (2013), ანდაზები სრულად ან ნაწილობრივ გადატანითი მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეულებია. გადატანითი მნიშვნელობის ქონა ანდაზებისთვის სავალდებულოა. ტრადიციული ანდაზებისგან განსხვავებით, ანტი-ანდაზები ყოველთვის როდი ატარებენ ამ თვისებას, მათი გამოყენება ძირითადად პირდაპირი მნიშვნელობით ხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც ანდაზები ანტი-ანდაზებად იქცევიან, ისინი უმეტესწილად კარგავენ სტილისტურ მახასიათებლებს.

მაგალითად, ტრადიციული ანდაზა *Ummadıgın taş, baş yarar* [An unexpected stone can split the head] [უბრალო/მოულოდნელმა ქვამ შეიძლება თავი გახეთქოს], გადატანითი მნიშვნელობით, მეტაფორულად გვეუბნება, რომ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ადამიანი ან ნივთი ხშირად უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდება, ვიდრე გვგონია (*Yurtbaşı, 1993:20*). ტრანსფორმაციისას ანდაზამ დაკარგა გადატანითი მნიშვნელობა და მივიღეთ შემდეგი ანტი-ანდაზა: *Ummadığı taş arkeolojik eser olabilir* [An unexpected stone may be an artifact][უბრალო ქვა შეიძლება არტიფაქტი აღმოჩნდეს].

და მაინც, ანტი-ანდაზების შემქმნელები სტილისტურ ხერხებს იყენებენ მსმენელთა/მკითხველთა ყურადღების მისაპყრობად, იმისათვის, რომ ანტი-ანდაზა უფრო დასამახსოვრებელი და ეფექტური გახადონ. ტრადიციული ანდაზა *Her kuşun eti yenmez* [Every bird's flesh is not eaten] [ყველა ფრინველის ხორცი როდი იჭმება] გვეუბნება, რომ არ შეიძლება ყველა იმ ადამიანის დამარცხება ან იმ ნივთის მოპოვება, რომელიც მარტივად დასამარცხებელი ან მოსაპოვებელი ჩანს. ანდაზის გზავნილი ირიბად, მეტაფორის საშუალებითაა გამოხატული, თუმცა შეიძლება სიტყვასიტყვითაც იქნას გაგებული. რაც შეეხება ანტი-ანდაზას, *tweet'in eti yenmez* [Every tweet's flesh is not eaten] [ყველა ტვიტის ხორცი არ იჭმება] ისიც გადატანითი მნიშვნელობისაა, ანტი-ანდაზის მეორე ნაწილის *eti yenmez* „არ იჭმებას“ გამო. ეს ნაწილი ნასესხებია ტრადიციული ანდაზისაგან და მეტაფორულ შინაარსს ატარებს. სიტყვას „ფრინველი“ უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სიტყვას „ტვიტი“, რადგანაც ტვიტერს (სოციალური ქსელი) თურქეთის საზოგადოების ყველა ფენა არ იყენებს, მაგალითად, ის ადამიანები, რომლებიც სოციალური ქსელებით არ არიან დაინტერესებულნი, არ აქვთ ინტერნეტი, მოხუცები და ა. შ.

ანგლო-ამერიკული ანტი-ანდაზა *Lawyers help those who help themselves* (იურისტები ეხმარებიან მათ, ვინც საკუთარ თავს ეხმარება) მომდინარეობს შემდეგი ტრადიციული ანდაზიდან *God helps those who help themselves* (ღმერთი ეხმარება მათ, ვინც საკუთარ თავს ეხმარება) და გვეუბნება, რომ თუ წარმატების მიღწევა გსურთ, თავად უნდა გაისარჯოთ (ლიტოვკინა და მიდერი, 2006:154). ეჭვგარეშეა, რომ ამ ანტი-

ანდაზაში, სიტყვის „ღმერთი“ მნიშვნელობა ვიწროვდება მისი სხვა სიტყვით „ადვოკატი“ ჩანაცვლების გამო.

ანგლო-ამერიკული და თურქული ანტი-ანდაზების შესაქმნელად არაერთი სტილისტური ხერხი გამოიყენება, ესენია:

1. ფონეტიკური სტილისტური ხერხები: ალიტერაცია, ასონანსი, რითმა / რიტმი, ომონიმია;
2. ლექსიკური სტილისტური ხერხები: გამეორება, დუბლირება, ანაფორა, ეპისტროფი;
3. სემანტიკური სტილისტური ხერხები: მეტაფორა, მხატვრული შედარება, პერსონიფიკაცია, კალამბური, ჰიპერბოლა, შედარება, კონტრასტი, პარალელიზმი, სატირა;
4. სინტაქსური სტილისტური ხერხები: ელიფსისი, ნარაცია/თხრობა.

ალიტერაცია ფართოდ გამოყენებადი სტილისტური ხერხია, რომელიც ფრაზას უფრო მიმზიდველს ხდის და ხაზგასმისთვის გამოიყენება. ანტი –ანდაზა *Kızını dövmeyen damadını nasıl döver?* [How can someone who does not beat his daughter beat his son in law?] [როგორ შეიძლება ვინმემ, ვინც ქალიშვილს არ სცემს, სიძე სცემოს?] მომდინარეობს შემდეგი ანდაზიდან *Kızını dövmeyen dizini döver* [He who does not beat his daughter will beat his knees] [ის, ვინც თავის ქალიშვილს არ სცემს, საკუთარ მუხლებს ურტყამს]. ეს ანტი-ანდაზა ალიტერაციულია, რადგან სიტყვებში ერთი და იგივე ასო-ბგერა "დ" ჩნდება ერთმანეთთან ახლოს. ტრადიციულ ანდაზაში კი ალიტერაციას "d, n" ბგერები ქმნის. რაც შეეხება ანგლო-ამერიკული ანტი-ანდაზების მაგალითებს, რომელშიც ალიტერაციას ვხვდებით, შემდეგია: *The only good grades are good grades* და *The only good fish is a fresh fish* ისინი მომდინარეობს ტრადიციული ანდაზისგან *The only good Indian is a dead Indian?*

ასონანსს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ორ ან მეტ ერთმანეთთან ახლოს მდგომ სიტყვაში ხდება ერთი და იმავე ხმოვანი ბგერის გამეორება (მიდული, 2012). ასონანსს

ადგილი აქვს ანდაზაში Kusursuz dost arayan dostsuz kalır [He who looks for a friend without fault, remains without a friend] [ის, ვინც უნაკლო მეგობარს ეძებს, მეგობრის გარეშე რჩება] სადაც ხმოვნების "u" და "o" გამოორებას ვხვდებით. ხოლო მისგან წარმოებულ ანტი-ანდაზაში Revizesiz iş arayan işsiz kalır [He who looks for a job without revision, remains without a job] [ის, ვინც სამსახურს შემოწმების გარეშე ეძებს, სამსახურის გარეშე რჩება] ასონანსი მიიღწევა ხმოვნების "e" და "i"-ის გამოორებით. ასონანსი ჩანს შემდეგ ანგლო-ამერიკულ ანტი-ანდაზაში *If you can't make a cake, get out of the kitchen* [თუ ტორტს ვერ აცხობ, გადი სამზარეულოდან]. იგი მომდინარეობს ტრადიციული ანდაზიდან [If you can't stand the heat, get out of the kitchen] [თუ სითბოს ვერ უძლებ, გადი სამზარეულოდან]. ორივე მათგანში ადგილი აქვს ხმოვნების 'e, i' გამოორებას.

სატირა ანტი-ანდაზებში იუმორისტული, ირონიული ან სასაცილო ეფექტის მისაღწევად გამოიყენება. მისი მიზანია გააკრიტიკოს ან დასცინოს სხვების შეცდომებს, უსინდისობას, განსაკუთრებით პოლიტიკურ კონტექსტში. პოლიტიკურად მოტივირებული სატირული ანტი-ანდაზების მაგალითებია: *Bal tutan parmağını özelleştirir* [He that handles honey, denationalize his finger!] [ის, ვინც თაფლთან მუშაობს, მის თითს დენაციონალიზაცია!]; *Bal tutan parmağını, sözünü tutmayan politikacı avucunu yalar* [He who handles honey licks his finger, the politician who does not keep his promise licks his palm] [ის, ვინც თაფლთან მუშაობს, თითს ილოკავს, პოლიტიკოსი, რომელიც არ ასრულებს თავის დანაპირებს, ხელისგულს ილოკავს]. ეს უკანასკნელი მომდინარეობს ანდაზიდან *Bal tutan parmağını yalar* [He that handles honey, licks his finger][ის, ვინც თაფლზე მუშაობს, თითს ილოკავს].

სატირა გვხვდება ანგლო-ამერიკულ ანტი-ანდაზაში *Too many legislators spoil reform* [ბევრი კანონმდებელი აფუჭებს რეფორმას], რომელიც მომდინარეობს ტრადიციული ანდაზიდან *Too many cooks spoil the broth* [სიტყვა – სიტყვით ბევრი მზარეული აფუჭებს ბულიონს];

ელიფსისი ანტი-ანდაზების შექმნის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხერხია. ანტი-ანდაზაში *irriir küçüğün* [Poem for the younger] [ლექსი უმცროსებისთვის]

ელიფსისია გამოყენებული. ზემოთ დასახელებული ანტი-ანდაზა მომდინარეობს ანდაზიდან Su küçüğün, söz büyüğün [Water belongs to the younger, word belongs to the elder] [წყალი ეკუთვნის უმცროსს, სიტყვა – უფროსს]. ანტი-ანდაზაში ტრადიციული ანდაზის მხოლოდ პირველი ნაწილია ნასესხები, მაგრამ შეცვლილია სიტყვები, რაც ანდაზის მნიშვნელობის ცვლას იწვევს. ანდაზის მეორე ნაწილში ფიქსირდება ელიფსისი. ანტი-ანდაზის შემქმნელი მას იყენებს გამიზნულად, რათა დაასახელოს თავისი წიგნი და მისი საშუალებით ყურადღება მიიპყროს. ელიფსისი ჩანს ანგლო-ამერიკულ ანტი-ანდაზებშიც, მსგავსად *Cough and the world cough with you, Work and you work alone, Boost and you boost alone*. თითოეული მათგანი მომდინარეობს ტრადიციული ანდაზიდან *Laugh and the world laughs with you; cry and you cry alone*.

4.2. ანგლო-ამერიკული და თურქული ანტი-ანდაზების სტრუქტურული თავისებურებები

ტრადიციული ანდაზები ტრანსფორმაციის შემდეგ მნიშვნელოვნად იცვლებიან. ანდაზების შინაარსის გარდა, იცვლება ტრადიციული ანდაზების წინადადების სტრუქტურაც. სტრუქტურული თვალსაზრისით, თურქული ანდაზები უფრო მოკლეა, ვიდრე ანგლო-ამერიკული ანდაზები, რადგან თურქული ენა არ შეიცავს მიმართებით ნაცვალსახელებს (ვინ, ვის, რომელი, ვისი). თუ ყურადღებას მივაქცევთ თურქული ანდაზის *Bağa bak üzüm olsun, yemeye yüzün olsun* ინგლისურ თარგმანს *Take care of the vineyard so that it will have grapes; then you can eat them without embarrassment* შევამჩნევთ, რომ ინგლისურენოვანი თარგმანი სიტყვების რაოდენობის თვალსაზრისით გაცილებით გრძელია, ვიდრე მისი თურქული ვერსია.

კოინინგი (2015) აღნიშნავს, რომ ანტი-ანდაზებში სინტაქსური სტრუქტურა არ იცვლება, მაგრამ ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ასევე ცხადყოფს, რომ ანდაზები სინტაქსურადაც ცვალებადია.

სინტაქსური თვალსაზრისით, ანდაზების განსხვავებული ტიპები გვაქვს: მარტივი წინადადება (simple sentence), რთული წინადადება (complex sentence) (შედგენილი რთული (compound complex); პირობითი რთული (conditional complex));

ჩასმული/შეზრდილი (embedded); რთული წინადადება რომელშიც არის "ki" (compound sentence with 'ki'), შეთანხმებული წინადადება (coordinated sentence), შედგენილი წინადადება (compound sentence) და ელიპტიკური წინადადება (elliptical sentence).

დავაკვირდეთ მაგალითებს, რომელშიაც ტრადიციულ ანდაზას მარტივი წინადადების ფორმა აქვს და ანტი-ანდაზად გადაქცევისას ხდება წინადადების ფორმის ცვლა. მარტივი წინადადებაა *Yerin kulağı var* [The ground has ears] [მიწას ყურები აქვს], მაშინ როცა ანტი-ანდაზა *Yerin kulağı varsa kapıların da gözü vardır* [If the ground has ears, the doors have eyes, then] [თუ მიწას ყურები აქვს, მაშინ კარს თვალები აქვს] პირობით-რთულ წინადადებას წარმოადგენს.

მარტივი წინადადების ფორმა აქვს ანგლო-ამერიკულ ანდაზას *Appearances are deceiving* [გარეგნობა მაცდურია], მაგრამ ანტი-ანდაზად გადაქცევისას *Appearances are deceiving, but it's better to have them deceive for us than against us* [გარეგნობა მაცდურია, მაგრამ სჯობს საკუთარი თავის სასარგებლოდ გქონდეს, ვიდრე სხვების] იგი რთული წინადადების ფორმას იძენს.

შეთანხმებული წინადადება (**coordinated sentence**) სულ მცირე ორი დამოუკიდებელი წინადადებისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია მძიმით (,) ან წერტილ-მძიმით (;). ტრადიციულ ანდაზას *Su küçüğün, söz büyüğün* [Water for the younger, word for the elder] [წყალი პატარასია, სიტყვა – უფროსის] შეთანხმებული წინადადების ფორმა აქვს, მისგან ნაწარმოებ ანტი-ანდაზებს: *üü küçüğün, sürahi büyüğündür* [Water for the younger, pitcher for the elder] [წყალი პატარასია, ქვევრი უფროსისაა] *iriir küçüğün* [Poem for the younger] [ლექსი პატარასია] მეტ-ნაკლებად განსხვავებული. პირველ ანტი-ანდაზას შენარჩუნებული აქვს ტრადიციული ანდაზის წინადადების ფორმა, ხოლო მეორე ანტი-ანდაზა მარტივი წინადადებაა.

შეთანხმებული წინადადების სტრუქტურა აქვს ტრადიციულ ანდაზას *See no evil, hear no evil, speak no evil*. ანტი-ანდაზად გადაქცევისას *If you think no evil, see no*

evil, and hear no evil, the chances are that you'll never write a best-selling novel, ის იქცევა პირობით-კომპლექსურ წინადადებად.

ტრადიციული ანდაზის ანტი-ანდაზად ტრანსფორმაციას ხშირად მოყვება წინადადების ფუნქციის შეცვლა.

ბრძანებითი წინადადება *Dereyi görmeden paçayı sıvama* [Do not roll up your trousers before reaching the stream] [ნუ აიკეცავ შარვალს, სანამ ნაკადულთან არ მიხვალ] ანტი-ანდაზად გადაქცევისას *Paçayı sıvamış insanın dereyi görme şansı daha fazladır* [The possibility of a person who rolls up his trousers to see the stream is higher] [ვინც შარვალს იკეცავს, მას ნაკადულის ნახვის უფრო დიდი შანსი აქვს] თხრობით წინადადებად გადაიქცევა.

მსგავსი ტენდენცია ჩანს ანგლო-ამერიკულ ანტი-ანდაზებშიც. თხრობითი წინადადება *A dog's bark is worse than his bit* [ძაღლის ყეფა მის ნაკბენზე უარესია] კითხვით წინადადებად გარდაიქმნება ანტი-ანდაზაში *Why is a dog's tail like the heart of a tree?* ბრძანებითი წინადადება *Don't cross the bridge till you come to it!* [ნუ გადაკვეთ ხიდს, სანამ არ მიუახლოვდები!] თხრობით წინადადებად გადაიქცევა ანტი-ანდაზაში *We can't cross a bridge until we come to it; but I always like to lay down a pontoon ahead of me.*

ანგლო-ამერიკული და თურქული ანტი-ანდაზების ანალიზმა აჩვენა, რომ ანტი-ანდაზების შემქმნელები ყოველთვის როდი რჩებიან ტრადიციული, ძველი ანდაზების სტრუქტურისადმი ერთგული.

დასკვნა

ანდაზებისაგან განსხვავებით, ანტი-ანდაზები დროის მცირე მონაკვეთში არსებობენ და ოკაზიონალიზმებს მოგვაგონებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ანტი-ანდაზების უმეტესობა მათი შემქმნელების მიერ მხოლოდ ერთხელ გამოიყენება და თუ ისინი არ მოიპოვებენ პოპულარობას და არ მოხდება მათი მასმედიაში ან

ხელოვნების სხვადასხვა სფეროში (მუსიკა, ლიტერატურა) გამოყენება, ისინი გაქრებიან.

ანტი-ანდაზები არა მარტო ართობენ მკითხველს / მსმენელს, არამედ შესწევთ უნარი მოახდინონ რეალობის სატირიზაცია ან კრიტიკა.

ანგლო-ამერიკული ანტი-ანდაზები თემატური თვალსაზრისით განსხვავდება თურქული ანტი-ანდაზებისაგან. ანგლო-ამერიკული ანტი-ანდაზების ძირითადი თემატიკა შემდეგია: სექსუალური ცხოვრება, ქალი, პროფესია, ფული, სიყვარული, ქორწინება, განქორწინება, მეგობრობა, განათლება, ალკოჰოლი და ნარკოტიკები, ბავშვები და მშობლები, გადასახადები, ღმერთი და რელიგია, ტელეფონი, მანქანები და კომპიუტერები. რაც შეეხება თურქული ანტი-ანდაზების თემატიკას, ეს თემებია: სოციალური მედია, გადასახადები, ალკოჰოლი, ფული, ბავშვები (განსაკუთრებით ქალიშვილები), ძალადობა, ტექნოლოგია, კომპიუტერული თამაშები და ა.შ. ანტი-ანდაზები შეიძლება შეიცავდეს შეურაცხყოფის, მტრობისა და აგრესიის ელემენტებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიმართ, მათ შორის ქალების, ჰომოსექსუალების, სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მიმართ და ა. შ. უფრო მეტიც, თურქულ ანტი-ანდაზებში ბევრი უხამსი ანტი-ანდაზაა.

ინტერტექსტუალური წყაროების ანალიზმა აჩვენა, რომ ანტი-ანდაზების საფუძველი სხვადასხვა წყაროში (კინო, სატელევიზიო შოუ, რეკლამა, ტექნოლოგიები და ა.შ.) უნდა ვეძიოთ. წყარო ტექსტის ამოცნობა მკითხველისგან/მსმენელისგან ფონურ ცოდნას, ტექნიკური ინფორმაციის ამოცნობას მოითხოვს; ორიგინალი წყაროს პოვნა წინასწარი ცოდნის გარეშე შეიძლება გამწვანდეს.

ინტერტექსტუალობა ანტი-ანდაზებისთვის დამახასიათებელი თვისებაა, რომელიც ხშირად მოულოდნელ და გასაოცარ ეფექტს იწვევს. ინტერტექსტუალობით მიღწეული იუმორის გაგება ყველას როდი შეუძლია. იგი დამოკიდებულია მკითხველის/მსმენელის კომპეტენციაზე, როგორც იპოვნის კავშირს ტრადიციულ ანდაზას და ანტი-ანდაზას შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,

მსმენელებისთვის/მკითხველებისთვის იუმორი მაშინ იქნება სასიამოვნო, თუკი წყარო ტექსტსა და ანტი ანდაზას შორის მსგავსებას და განსხვავებას აღმოაჩენენ.

ანგლო-ამერიკული და თურქული ანტი-ანდაზების ლინგვოკულტურულმა ანალიზმა აჩვენა, რომ სამყაროს ანტი-ანდაზური გაგება დიდად განსხვავდება სამყაროს ანდაზური გაგებისგან. ანტი-ანდაზები წარმოაჩენენ საზოგადოების განვითარების ახალ ეტაპებს, ახალ გამოცდილებას. ანალიზის შედეგად ჩანს, რომ ტრადიციული ანდაზები, რომლებიც ერთ დროს უცვლელ ჭეშმარიტებად ითვლებოდა, მუდმივი არაა, ის დროში ცვალებადია.

ცხოვრების სხვადასხვა სფეროში განხორციელებულმა ცვლილებებმა, ამ ცვლილებების გათავისებამ და კულტურის ნაწილად გადაქცევამ, ანდაზების ტრანსფორმირების აუცილებლობა მოითხოვა. შეიცვალა ანგლო-ამერიკული და თურქული საზოგადოების ღირებულებათა სისტემა, კერძოდ გადაფასდა ისეთი ცნებები, როგორცაა ცოდნა, განათლება, პატიოსნება. ანტი-ანდაზებში გამოვლინდა თანამედროვე ცხოვრებაში ძალადობრივი ქმედებების მომრავლების ფაქტები, საზოგადოებაში არსებული სოციალური თუ ფინანსური პრობლემები, სოციალური მედიის გავლენის ზრდა.

დისერტაციაში ასევე განხილულია ის ანტი-ანდაზები, რომლებიც სოციალურ მედია დისკურსში გამოჩნდნენ და წარმოაჩინეს სოციალური ქსელების ზეგავლენა ადამიანის ცხოვრებაზე. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი ის ხანაა, როცა მეცნიერება და ტექნოლოგია, მასობრივი კომუნიკაციისა და ტრანსპორტირების ქსელები, ხელახლა აყალიბებს ადამიანის აღქმას. კვლევამ აჩვენა, რომ სოციალურ მედიასთან დაკავშირებული ანტი-ანდაზები და ტერმინები არ წარმოადგენს ავთენტურ მასალას სოციოლოგიური გადმოსახედიდან. ახალი შინაარსი, რომელიც ანტი-ანდაზებში ძვეს გვიჩვენებს, რომ ადამიანებს შორის ურთიერთობა ვირტუალური გახდა. სოციალური მედიის ზეგავლენა უდიდესია მომხმარებელზე. ის, რისი გაზიარებაც ხდება სოციალური მედიის საშუალებით, ეწინააღმდეგება საზოგადოებაში გავრცელებულ აზრს. ის გზავნილი რომელსაც ანტი-ანდაზები

ატარებს, სრულ წინააღმდეგობაში მოდის ტრადიციულ ანდაზებში დაფიქსირებულ ჭეშმარიტებასთან.

ნაშრომში ასევე მოხდა ანგლო-ამერიკული და თურქული ტრადიციული და ანტი-ანდაზების სტრუქტურებს შორის მსგავსება-განსხვავებების დაძებნა. ორივე კულტურის ანტი-ანდაზების მაგალითების ანალიზმა აჩვენა, რომ ანტი-ანდაზების შემქმნელები ყოველთვის არ რჩებოდნენ ტრადიციული ანდაზების სტრუქტურის ერთგულნი და სინტაქსს ისეთი საშუალებებით ცვლიდნენ, როგორცაა ერთი სიტყვის მეორეთი ჩანაცვლება; ტრადიციული ანდაზის გაგრძელება; ზმნის დადებითი ფორმის უარყოფითით შეცვლა (და პირიქით); ერთი ბგერის მეორე ბგერით შეცვლა; სიტყვის ან სიტყვების ჩამატება ტრადიციულ ანდაზებში და ა.შ. კვლევამ აჩვენა, რომ ანტი-ანდაზების უმეტესობა ინარჩუნებს ტრადიციული ანდაზების იმავე სტრუქტურას, საიდანაც ისინი მომდინარეობენ, თუმცა ზოგიერთი მათგანი ინარჩუნებს ტრადიციული ანდაზის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს, რაც წინადადების სტრუქტურის ტიპის ცვლილებას იწვევს. ტრადიციულ ანდაზებში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, ანტი-ანდაზები კვლავ ახსენებენ მსმენელს/მკითხველს ტრადიციულ ანდაზებს მათ შორის არსებული ბგერითი შემადგენლობის თუ სტრუქტურის გამო.

ნაშრომში ასევე მოხდა ანგლო-ამერიკული და თურქული ანტი-ანდაზების სტილისტური კუთხით შესწავლა. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ტრადიციული ანდაზები სრულიად ან ნაწილობრივ ფიგურალური, გადატანითი მნიშვნელობის მატარებელია, მაშინ როცა ანტი-ანდაზების უდიდეს ნაწილს პირდაპირი მნიშვნელობა აქვს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტრადიციული ანდაზები ანტი-ანდაზებად გადაქცევის დროს სტილისტურ თავისებურებებს კარგავენ. მართალია, ანტი-ანდაზების უმეტესობა პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება, მაგრამ მათში მაინც ხდება სტილისტური ხერხების გამოყენება, რითაც ანტი-ანდაზების შემქმნელები ახერხებენ მსმენელთა/მკითხველთა ყურადღების მიპყრობას და ანტი-ანდაზას უფრო დასამახსოვრებელს ხდიან.

კვლევამ აჩვენა, რომ ანგლო-ამერიკულ და თურქულ ანტი-ანდაზებში გამოყენებული თითოეული სტილისტური ხერხი იუმორისტული ეფექტის შექმნას ემსახურება. ნაშრომში სტილისტური ხერხები შესწავლილია ოთხ ძირითად კატეგორიად: ფონეტიკური სტილისტური ხერხები (ალიტერაცია, ასონანსი, რითმა/რიტმი, ომონიმია), ლექსიკური სტილისტური ხერხები (გამეორება, დუბლირება, ანაფორა, ეპისტროფი), სემანტიკური სტილისტური ხერხები (მეტაფორა, პერსონიფიკაცია, კალამბური, ჰიპერბოლა, შედარება, კონტრასტი, პარალელიზმი, სატირა) და სინტაქსური სტილისტური ხერხები (ელიფსისი და ნარაცია).

საკითხზე მუშაობამ გამოავლინა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთი კვლევის განხორციელებაა სამომავლოდ შესაძლებელი. კერძოდ შესაძლებელია სხვადასხვა ენებისა და კულტურების ანტი-ანდაზათა შედარებით-შეპირისპირებითი შესწავლა. შესაძლებელია ინტერდისციპლინარული კვლევების ჩატარება, რომლის განხორციელებაში ჩაბმული იქნებიან სხვადასხვა სფეროს მკვლევრები: სოციოლოგები, ფსიქოლოგები, განათლების მუშაკები. გარდა ამისა, თანამედროვე პარემიოლოგებმა და პარემიოგრაფებმა უნდა შეაგროვონ და გამოაქვეყნონ არა მხოლოდ ტრადიციული და ახალი ანდაზები, არამედ მათი ტრანსფორმირებული ვერსიები, შეისწავლონ მათი ფუნქციები და მოახდინონ მათი მნიშვნელობის ინტერპრეტირება თანამედროვე სამყაროში და საკომუნიკაციო პროცესებში.

პუბლიკაციების ჩამონათვალი

1. Usta Tuzcu Ö., *Anti-Proverb as a Type of Intertextual Joke*. Humanitas Uluslararası Sosyal Bilimler Dergisi, 6 (12) , 34-48 . 2018a. Doi: 10.20304/Humanitas.446326
2. Usta Tuzcu Ö., *What happens When Proverbs Meet Change in Public Life?* Proceedings of The 12th Interdisciplinary Colloquium on Proverbs (Pp. 283-297). Tavira: Aip-Iap. 2018b;

3. Usta Tuzcu Ö., *Turkish Anti-Proverbs in Social Media Discourse*. The Journal of Academic Social Science Studies, (74), 243-261. 2019a. Doi:Number: 10.9761/Jasss7993
4. Usta Tuzcu Ö., *A Syntactic Study on Turkish Anti-Proverbs*. Turkish Studies, 14(3), 1867-1880. 2019b. Doi: 10.29228/Turkishstudies.22076
5. Usta Tuzcu Ö. *The Effect of the Changing Society on the Turkish Proverbs*. Rumelide Dil ve Edebiyat Arařtırmaları Dergisi, (14), 373-383. 2019c. Doi: 10.29000/Rumelide.541037
6. Usta Tuzcu Ö., *Metaphors in Turkish Anti-proverbs*. Intercultural Relations Society, 47-52. 2019d.
7. Usta Tuzcu Ö., *The Mechanisms of Intentional Adaptation in the Creation of Anti-proverbs*, (is being published).